

სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესია გაიხსნება 2009 წლის 27 ნოემბერს, ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თამარ მეფის №59).

პლენარული სხდომა — 11⁰⁰ საათზე

სექციური სხდომების დასაწყისი — 14⁰⁰ საათზე

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

მსჯელობა გაიმართება მოხსენებათა მოსმენის შემდეგ

რედაქტორი: **გიორგი გოგოლაშვილი**

©არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

პლენარული სხდომა 27 ნოემბერს, 11 საათზე

(მწვანე დარბაზში)

თავმჯდომარე **გ. გოგოლაშვილი**

მისალმებანი: გ. ონიანი — ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
ლ. ეზუგბაია — არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

მომხსენებებს წაიკითხავენ:

- ა. არაბული** — ინტენსივობის მრავლობითი ქართული ენის დიალექტებში
- თ. უთურგაიძე** — ქართული დიალექტების დაჯგუფება S2-ისა O3-ის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით
- ვ. შენგელია** — ნაცვალსახელთა კონტექსტური ფორმები მეგრულში
- ა. ჭინჭარაული** — „ვეფხისტყაოსნის“ ენის მიმართებისათვის ჰერულ დიალექტთან (განმეორებული ზმნისწინები პოემაში)
- მ. ქურდიანი** — სვანური ენის დიალექტთა საკვალიფიკაციო ნიშანთა სისტემის საკმარისობის პრობლემა და ჩოლურული, როგორც სვანური ენის მეხუთე დიალექტი
- მ. ქაცარავა** — იმერული დიალექტის შესწავლის ისტორიიდან
- მ. ფაღავა, ნ. სურმავა, მ. ცინცაძე** — ექსპედიცია შავშეთში

I სექცია. 27 ნოემბერს, 14⁰⁰ საათზე (მწვანე დარბაზი)

თავმჯდომარეები: **ა. არაბული, მ. მიქაძე**

1. გ. გოგოლაშვილი, თემის ნიშანთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში
2. თ. ვაშაკიძე, მსგავსება-თანაბრობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში (ქართული ენის დიალექტებთან მიმართებით)
3. რ. სალინაძე, ფონეტიკურად შეპირობებული ფორმოებრივ-სემანტიკური ვარიანტები ქართულში
4. ნ. ოთინაშვილი, საამილახოროს დავთრის ტექსტის მორფოლოგიური თავისებურებანი
5. მ. მანჯგალაძე, თ. უთურგაიძე, იმერული დიალექტი კახურ გარემოში
6. რ. რამიშვილი, სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების (ფერეიდნელების) მეტყველების მაგალითზე
7. ი. რუსაძე, ლადო ბზვანელის მიერ მოპოვებული იმერული ლექსიკისთვის
8. თ. ლომთაძე, ნასესხებ სოციოლექტიზმთა ადაპტაციისათვის თანამედროვე ქართულში
9. მ. მიქაუტაძე, ხანმეტობის კვალისათვის ქართველურ კილოებში
10. ნ. ფხაკაძე, სემანტიკური დიალექტიზმი
11. შ. ფუტყარაძე, თანდებულთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხელში
12. ნ. ფანტენაძე, მო- და შე- ზმნისწინთა ვარიანტები ჩვენებურების მეტყველებაში
13. ე. აბულაძე, არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებანი ოთარ ჩხეიძის პროზაში
14. მ. მიქაძე, შეთანხმების საკითხისათვის ზოგ დასავლურ დიალექტში (იმერულის, რაჭულისა და გურულის მაგალითზე)

II სექცია. 27 ნოემბერს, 14⁰⁰ საათზე (აუდიტორია №29)

თავმჯდომარეები: **ვ. შენგელია, მ. ქაცარავა**

1. გ. ბედოშვილი, ქართული ლექსიკიდან (ალქაჯი, ელფერი, ნეგრულა, მძაფრი)
2. ლ. თანდილაგა, თურქული ელემენტები ყოჩაღ დუმეზილის ართაშენულ-ლაზურ ტექსტებში
3. მ. ქამადაძე, სუფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები აჭარაში
4. ნ. ნოლიაძე, ორი კოლხური ღვთაების სახელის კვალი აჭარულში (ნერჩი, ოდომი).
5. მ. საღლიანი, ლა-, ან-, ად-, ეს- ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზი სვანურში
6. მ. ბუკია, სახელთა წარმოქმნისათვის ლაზურში (ყ. დიუმეზილის ლაზური ტექსტების მიხედვით)
7. ც. ბენდელიანი, არქაული ფონეტიკური მოვლენები ქართველურ სამეტყველო ნარევ კოდებში (ცხენისწყლის ხეობის მასალების მიხედვით)
8. ც. ნარაკიძე, ხეხილის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში
9. ნ. შავრეშიანი, ჯი (ჯამ||ჯა||ჯემ||ჯე) ||მიჩ||მიჯნემ (მიჯინემ) ||ჯინემ||მიჩემ, მინ „თვითონ“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ბრუნების თავისებურება სვანურში
10. რ. შეროზია, ერთი ჯგუფის ზმნათა უღლებისათვის მეგრულში
11. ნ. კაჭარავა, ნ. რუხაძე, ჩვენებურების მეტყველებაში ზოგიერთი ნასესხები სიტყვის მორფოლოგიური ანალიზისათვის
12. ნ. ახვლედიანი, ერთი ლექსიკური ერთეულის განმარტებისათვის („სილა“)
13. ნ. ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულში და მათი კონოტაციური ანალიზი
14. ე. ფუტყარაძე, ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარულის დარგობრივი ლექსიკიდან

შემაჯამებელი სხდომა — 27 ნოემბერს, 18⁰⁰ საათზე

ექატერინე აბულაძე

(გორი. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებანი ოთარ ჩხეიძის პროზაში

1. ოთარ ჩხეიძის თხზულებათა ენაში ხმოვანფუძიანი საზოგადო ჯგუფის არსებითი სახელები სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხშირად დაირთავენ • ხმოვანს, რომელიც ძველ ქართულში იოტად იყო რეალიზებული; ეს ვითარება დაცულია ქართულურსა და ქართული ენის სხვა აღმოსავლურ კილოებში: დედაი, მამაი, დაი, ენაი, ხმაი, გოგონაი, სახლობაი (=ცოლი), თმაი, მზეი, ძეი, გოგოი, ღვინოი, ურდოი...

2. სახელობითი ბრუნვის ნიშანი • დაერთვის პირთა საკუთარ სახელებსაც: ლინკაი, გუგაი, თეაი, მერაბაი, კოტეი, ქრისტეი, ტატეი, კეკეი, ელენეი, გიორგაი, ნინოი, ლენტოი, ლადოი, ნიკოი, ჯიბოი...

3. მოთხრობით ბრუნვაში დასმული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი მ ნიშანთან ერთად დამატებით დაირთავს • ხმოვანს: ლინკამა, გუგამა, ნინომა, გიორგიმა, კოტემა, კეკემა, ელენემა, ლენტომა, სალომემა, მერაბამა, ტატემა, ჯიბომა, თეამა, ლადომა...

4. ეგევე ვითარება გვაქვს ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში: თამადამა, მეგობრობამა, სარჩომა, დედამა, ხმამა, ზღვამა, ეკლესიამა, სადღეგრძელომა, მხარემა, ძმამა, ქვეყანამა...

5. შეინიშნება ემფატიკური • ხმოვნის გარკვეული კანონზომიერებით ხმარება:

ა) ემფატიკური • გვხვდება წინადადების ბოლო წევრთან, ამ შემთხვევაში მიც. ნათეს. მოქმ. და ვითარ. ბრუნვებში: როგორ ევეღრებოდა ხალხსა; ვეღარც მოკარნახე მოიყვანდა გონსა; ისედაც ჰო ქალი დაუფლებოდა თბილის-ქალაქსა; ყველაფერი უხდება, ყველა ქვეყნისა, ყველა მოდისა; /ჰქონდა/ მხოლოდ დიდი სურვილი ბავშვებთან თამაშისა; გასულიყო სცენიდან ტაშითა, ყვავილებითა; გადაჰხედავდა დროდადრო ქორულადა, ხან ირიბადა, ხან შემპარავადა; იქცა

თეატრალა, ადგილალა; შემოდლიან და შემოდლიან მწკრივალა, სათითაო-
და.

ბ) ემფატიკური ა გვხვდება და კავშირის წინ მდგომ სახელ-
თან:

აჩქარებთვე ალაგებს ფიგურებსა და იწყებს ახალ ხელსა; იც-
ლება სისხლისგანა და დევს სასათული; ვინ გარდავა ნებასა ღვთისა
და მიიხუტა ჯვარი გულზედა.

ბ. აქ წარმოდგენილი ენობრივი მოვლენები შეიძლება შევაფასოთ
როგორც სალიტერატურო ქართული ენის ნორმიდან ერთგვარი
გადახრა. ამიტომ იგი შეიძლება შეფასდეს როგორც ქართლური დია-
ლექტის თავისებურება, რაც ასე სრულად არის ასახული ოთარ ჩხე-
იძის სამწერლო ენაში.

ავთანდილ არაბული

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ინტენსივობის მრავლობითი ქართული ენის დიალექტებში

1. ქართული ენის არაერთ დიალექტში შენიშნულია ნართანი-
ნი მრავლობითის „ჭარბი გამოვლენის“ შემთხვევები, ანუ
ისეთი ფაქტები, როდესაც სახელი მხოლობითის შინაარსი-
საა, მაგრამ მრავლობითის ფორმანტი დაერთვის; მაგ.: ფშა-
ური-ხევსურული: არაყ-ნი, წყალ-ნი, დოვ-ნი, აბჯარ-ნი,
ტყე-ნი (= ხე); კახური: ყელ-ნი „ტირილი ყელთ მომეზღინა“...ს
2. საყურადღებოა ნართანიანი მრავლობითის გამოვლენა „სი-
დიდის“, „სივრცელის“, „სიძლიერის“ შინაარსის შემცველ
ლექსიკურ ერთეულებთან: კლდე-ნი, მინდორ-ნი, ხევ-ნი,
ტბა-ნი, ზვავ-ნი...
3. შეთანხმებული ნართანიანი მრავლობითის შემთხვევები
გვხვდება მაშინაც, როდესაც გარკვეული ინტენსივობის

ზედსართავი სახელები გამოიყენება: დიდ-ნი ხე-ნი, რამო-
ტოლა-ნი თავ-ნი [ხქონ]... (შესაძლებელია ასევე იყოს აქ-
ცენტრირებული საპირისპირო „სიმცირის“ სემანტიკა: პატა-
რიან ქუა-ნი...).

4. ზოგი დიალექტის თავისებური მახასიათებელია ნადირთა
და, განსაკუთრებით, ქვეწარმავალთა გარკვეული სახეობების
აღნიშვნა მხოლობითის შინაარსის მრავლობითით: ვეფხვ-ნი,
გველ-ნი, ბაყაყ-ნი...
5. განსაკუთრებული შემთხვევაა ნართანიანი მრავლობითის
გამოყენება ექსპრესიულ (ხმაბაძვით, ონომატოპოეტურ)
„მასდარებში“: ჯახ-ნი, ტყაპ-ნი, სხაპ-ნი, ბრახვ-ნი, ტყრამ-
ნი...
6. აქვე შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ხევსურულის ე.წ.
ორობითის ფორმები, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, შეწყვი-
ლებულ საგნებსა და წყვილ ორგანოებს გამოხატავს და
ნარ(თან)-ით უპირისპირდება „ნამდვილ“ ებიან მრავლო-
ბითს: ძმა-ნი, ფეხ-ნი, ყურ-ნი, თვალ-ნი... (ა. შანიძე).
7. ვფიქრობთ, ყველა ამ შემთხვევას აერთიანებს ერთი ამოსა-
ვალი კატეგორია — ინტენსივობა, რომელიც სხვადას-
ხვაგვარი „პრეცედენტების“ სახით არის დალექილი დიალექ-
ტებში (განსაკუთრებით მთის კილოებში). როგორც ჩანს,
შეიძლება ამასვე დაუკავშირდეს ზოგი სხვა შინაარსი ნა-
რთანიანი მრავლობითისა (მაგალითად, გვარტომობისა და
წარმომავლობის აღნიშვნა).
8. რამდენად შეიძლება მრავლობითი ეწოდოს ამ მოვლენას?
იმდენად, რამდენადაც მას ყველა შემთხვევაში აქვს შენარ-
ჩუნებული ის გრამატიკული უნარი, რაც ჩვეულებრივს ნა-
რთანიან მრავლობითს ახასიათებს: თანს გაიჩენს ირიბ
ბრუნვებში (წყალ-ნი — წყალ—თ), ითანხმებს როგორც
მსაზღვრელს (დიდ-ნი კლდე-ნი), ისე ზმნა-შემასმენელს (ჯახ-
ნი იქნ-ეს).

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ერთი ლექსიკური ერთეულის განმარტებისათვის („სილა“)

ბევრი ლექსიკური ერთეული, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონშია დაფიქსირებული, ბუნებრივია, დღეს აღარ გვხვდება ქართული ენის დიალექტებში. ასე მაგალითად, **სილა** არ ფიქსირდება შ. ნიჟარაძის „ჭარხალი დიალექტის ლექსიკაში“ (თუმცა აჭარულ მეტყველებაში ის დავადასტურეთ), არც გურულ, იმერულ და ლეჩხუმურ დიალექტებში დასტურდება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ მისი არსებობა რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებებში, ასე მაგალითად: სილთა ტყე, სილთიგორა. **სილა** არ დასტურდება არც სვანურ ლექსიკონში. ლაზურში, ც. ნარაკიძის ზეპირი ინფორმაციით, **სილა** არ გვხვდება, მის ნაცვლად თურქული (თავის მხრივ, ბერძნულიდან ნასესხები) **კუმი** დასტურდება. ამ სიტყვის არსებობაზე მეგრულში პ. ჭარაია მიუთითებს თავის ლექსიკონში და განმარტავს მას, როგორც „ქვიშა“. განსხვავებული მნიშვნელობით ამ სიტყვას „ჩვენებურების“ ქართულშიც ვხვდებით. ლექსიკური ერთეული **სილა** სულხან-საბასთან განმარტებულია როგორც „წვლილი ქვიშა“.

გ უ რ ა მ ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ქართული ლექსიკიდან (აღქაჯი, ელფერი, ნეგრულა, მძაფრი)

1. **აღქაჯი**. სტრუქტურული თვალსაზრისით კომპოზიტია; შედგება ორი დამოუკიდებელი შინაარსის სიტყვისაგან (**აღქი** და **ჯაჯი**). ამის მიუხედავად სალიტერატურო ქართული ენის ორთოგრაფი-

ული ნორმა ერთცნებიან ფორმად ცნობს და შერწყმულადაც იწერება: **აღქაჯი**.

2. **ელფერი**. აგებულების მიხედვით ეს სიტყვაც კომპოზიტია, შედგენილია ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან, რომელთაგან პირველი წევრი (**იერ-**) ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მეორე კი — სახელობ. ბრუნვის ნიშნითურთ (**ფერ-ი**).

3. **ნეგრულა** — ზედსართავი სახელია. ძირითადად გვხვდება არაგვის ხეობის ქართლურში. მიემართება მუქი ნაცრისფერი შეფერილობის ქათამს. წარმოდგარი ჩანს მთიულურ-გუდამაყრული **ლეგნა** (< ***ლეგანა**) ტერმინისაგან დისიმილირებული **-ურა** სუფიქსის დართვით: **ლეგნ-ურა** → **ნეგლ-ურა** → **ნეგრ-ულა**.

4. **მძაფრი** ასევე ზედსართავია (მძაფრი გრძნობა, სუნი, განცდები...). შედგენილობა-სტრუქტურის თვალსაზრისით **მძაფრ-**სიტყვა ორი დამოუკიდებელი (სრულმნიშვნელოვანი) სიტყვისაგან არის წარმოდგანი: **ძალ-ა** || **ძალ-ი** და **ფრიად-ი**. ამოსავალია ძალფრიად-ი, რომელსაც პრეპოზიციის **მ-ანი** დართვით: **მ-ძალ-ფრიად-ი** → **მძაფრ-ი-ად** → **მძაფრ-ი**. მნიშვნელობით: **დიდი ძალისა, დიდი ძალით, ძლიერად**.

ც ი ა ლ ა ბ ე ნ დ ე ლ ი ა ნ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

არქაული ფონეტიკური მოვლენები ქართველურ სამეტყველო ნარევ კოდებში (ცხენისწყლის ხეობის მასალების მიხედვით)

ქართველურ ენათა გავრცელების არეალში ამჟამინდელ ნარევ სამეტყველო კოდებში გვხვდება ენობრივი მასალა, რომელშიც, ჩვენი აზრით, ვლინდება ქართველური არქაული და უძველესი ფონეტიკური მოვლენები, სტრატეგიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის მიხედვით.

მოვიტანთ არქაული ფონეტიკური ვითარების ამსახველ მაგალითს ცხენისწყლის ხეობის სამეგრელოსპირა ზოლში გასული საუკუნის მანძილზე მიგრირებულ ლეჩხუმელთა მეტყველებიდან:

ა) მიგრირებულ უფროსი ასაკის ლეჩხუმელთა სამეტყველო კოდში გვხვდება იშვიათი ფორმა **ჟვები** „ქაფი“, იგი არ იპოვება ქვემოიმერულში. არის ზმნური ფორმაც: **გაჟვებიინება || ჟვებიინდება** „წყლით გაჟღენთვა, გასიება“. ეს ზმნები იმავე მნიშვნელობით იმერულშიც არის მითითებული (პ. გაჩეჩილაძე), მაგრამ ამჟამად იგი იმერული სამეტყველო კოდიდან გამქრალია. იმერულში არის **ბეჟ-ო** და **ჟვებ-ო** „ქაფის“ მნიშვნელობით (ალ. „ლონტი“), **ჟვებო** განმარტებულია, როგორც **ბეჟო, პერი** (გუკ. ბერიძე);

ზემოიმერულში დასტურდება **ჟვებრ-ი** „ქაფი“ (ქ. ძოწენიძე), აქედან: **მოჟვებრვა** (ბ. წერეთელი). ლეჩხუმურში არის ფორმა **ჟვიპინი** „სისველე“, ლეჩხუმურშივე დადასტურებულია ფორმა **ჟვებო** (მ. ალავეძე). ამ ფორმას მიგრირებული ლეჩხუმელები არ იყენებენ. თუმურში არის **ჟვრინტა** „წვეთი“ (პ. ხუბუა);

უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება: **პერ-ი / პეროვა-ა / პერ-ულ-ი**, კერძოდ: **პერ-ი** არის „დუჟ-ი, ქაფ-ი“, მისგან ნაწარმოებია ზმნური ფორმა, მაგ., „პ ე რ ო ვ (ვ) ი ნ და ი ღ რ ჭ ე ნ ნ კ ბ ი ლ თ ა“ (მრ. 9;18); „ს უ ლ მ ა ნ უ კ ე თ უ რ მ ა ნ ... და ა კ უ ე თ ი ს და პ ე რ ო (ვ) ი ნ“ (ლ. 9,39); **პერულ-ი** სემანტიკურად ემთხვევა **პერ-ს**: „პერული სდიოდა პირსა“ (მ.ც. 195) (ი. აბულაძე). იმავე სემანტიკის მეგრული შესატყვისია **პანჯ-**, ლაზური **პაჯ-**; სვანური — **პერ-** (ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი). **პერ-ი** საბას მიერაც განმარტებულია, როგორც „ქაფი“.

პერ-ი ამჟამადაც გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს მთის სამეტყველო დიალექტურ კოდებში, მაგ., **პერ-ი** მთიულურში, გუდამაყრულში (გუდამაყრულში არის **პერ-ა-ც**), ფშაურში, ხევსურულში, თუმურში, მოხეურში ნიშნავს „ქაფს“ (ე. ვირსალაძე); **პერ-ი** არის „ოფლის“ „ქაფის“ მნიშვნელობითაც (თ. უთურგაძე, ივ. ბუქურაული, ო. ქაჯაია).

ეს მონაცემები ძალზე საინტერესო და, ამასთანავე, რთულ ვითარებას წარმოგვიდგენს. საფიქრებელია, ქართულ-კოლხური ერთობის ხანაში ნავარაუდევია რომელიღაც რთული ბგერის (აკ. შანიძე)

დაშლის შედეგად მიღებული **რ** არის სვანურში: **პერ** „დუჟი ცხოველთა“; ჩვენი აზრით, ამ რთული ბგერის არსებობა სავარაუდოა ქართულ-კოლხურ ერთიანობაზე ადრეც, ყოველ შემთხვევაში რომელიღაც სამეტყველო არეალში მაინც. ძველ ქართულში არის: **პერ-ი** „დუჟი, ქაფი“; ლეჩხუმურში: **პერ-ოლ-ი** „ქაფი“.

იმავე რთული ბგერის დაშლის შედეგად მიღებული **ჭ** უნდა გვქონდეს ზემოაღნიშნულ მეგრულსა და ლაზურ სიტყვებში და იშვიათ ლაზურ პარალელურ ფორმებში **ბეჭ-ი > ბეჭ-ი** „სქელი“, შდრ.: ასევე იშვიათი ლაზური ფორმა **ბჭ-ი** „ითქმის უსულო საგანზე, რისამე ჩასქელება ბევრი ხარშვისგან“ (ნ. ქუთელია); **ბეჭ-ი > ბეჭ-ი** შეპირისპირებულია **მყარ-** ფუძეს (გ. კარტოზია).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის სამეტყველო არეალს შემოუნახავს **რ** ბგერიანი ფორმა: **პერ-ი / პერ-ა**; სავარაუდოა, რომ ლეჩხუმურში ენობრივი ფორმა **პერ-ოლ-ი** ძველი ქართულის დანაშრევა, მაგრამ სვანურთან სემანტიკის დონეზე სამეტყველო კოდების შერევის შედეგი უნდა იყოს **ჟვები-ი**, რომელიც იმავეს აღნიშნავს, რასაც სვანურში.

კოლხურში **ჭ** მეორეულადაა მიჩნეული, მისი წინა სახე უნდა ყოფილიყო **ჟ** (აკ. შანიძე). ჩვენი აზრით, **ჭ-ს** წინა სახედ ნავარაუდევია **ჟ** არის ცხენისწყლის ხეობის ნარვე სამეტყველო კოდებში: მიგრირებულ ლეჩხუმელთა ლეჩხუმურ-ქვემოიმერულში: **ჟვები-ი (დაჯვებიინება || გაჟვებიინება)**, „წყლის ან რაიმე სითხის ქაფი“ („წყლით ან რაიმე დაავადების გამო დასიება“). იმავე ასაკის მიგრანტები იყენებენ ფორმასაც **ჟვაბ-ი** (ღვინო) „წყალნარევი, ცუდი ღვინო“. შდრ.: იმერულში — **ჟვაბ-ი** „დიდი და ხანგრძლივი წვიმიანობა“ (ივ. ქავთარაძე); „ნესტიანი ამინდი, წვიმიანობა“; წყლით გაჟღენთილი, ნედლი (ქართ. დიალექტ.); იმერულშივე — **ჟვაბ-ი** „წყლით გაჟღენთილი ან ნედლი რამ, მაგ., შეშა, სიმინდი და სხვ. (ივ. ქავთარაძე); ფონეტიკურად სახეცვლილია, მაგრამ სემანტიკურად ახლოსაა გურ. **ჟვანქ-ი** „ცვარი, წვეთი“ (ალ. ლლონტი).

ჩვენი აზრით, დასავლურქართული სამეტყველო სექტორის **ბეჟ-ო** (გ. ბერიძე) უფრო ძველია და მისგან მომდინარეობს **ბეჭ-ი**; **გ-ს** ჩართვით და მეტათეზისით არის მიღებული **ჟ(ვ)ებ-ი. ო-ს** უფიქსიანი ფორმა შემდგომდროინდელი შეიძლება იყოს. დასაშვებია **-ო**

ძვ. ქართული **-ულ** > დიალექტ. **-ოლ** სუფიქსის ნაშთი იყო, კერძოდ: მსგავსად **პერ-ულ-ი** / **პერ-ოლ-ი**-სა უნდა ყოფილიყო ***პეფ-ულ-ი** / ***პეფ-ოლ-ი**, მაგრამ მომხდარია არა სუფიქსთა მონაცვლეობა, არამედ სალიტერატურო **-ულ** (< **-ურ**) სუფიქსში დავიწროებულია **უ** (> **ო**).

ფეხები, ასევე, **ფეხები** ლეჩხუმურის ლექსიკონებში არ გვხვდება, მაგრამ არის **ფეხების** სემანტიკური შესაბამისი **პეროლი** „ქაფი“ (მ. ჩიქოვანი); ეს სიტყვა მეტად გამძლე აღმოჩენილა, იგი უკანასკნელ ხანებამდე აქტიურად გამოიყენებოდა ქვემო იმერეთში ადრეულ პერიოდებში მიგრირებულ ცაგერსქვემოური კოდის მომხმარებელთა მიერ, მაგრამ, განსხვავებით ლეჩხუმურისგან, ჰქონდა „სწრაფის“ მნიშვნელობა, მაგ., **დევიდოდა პეროლივით** ე.ი. „დაქროდა“; აღწერილობითი ფორმა დიალექტური წარმოებისაა, მაგრამ ახლოს დგას ზმნასთან, შდრ.: **პერ-ოვ-ინ**.

აღნიშნული პროცესები გარკვეულ დიალექტურ წრეთა შორის სამეტყველო კოდების შერევის შედეგია, რაშიც ზანურის მონაწილეობაც იგარაუდება.

სულხან-საბა უთითებს: **პერი** „ქაფი“ || **პეჟო** „წყალთ პერეული“. **პეჟო**, შესაძლოა, საბას დასავლური დიალექტური არეალიდან ჰქონდეს აღებული. მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დასავლურ რომელიც სამეტყველო კოდში **პეჟ**-ო-ს მნიშვნელობა **პერ**-თან მიმართებით სემანტიკურად დიფერენცირებული იყო. ამ ვითარებასთან ახლოს დგას ლეჩხუმური და მიგრანტ ლეჩხუმელთა **პეროლ**-ის მნიშვნელობები.

ბ) საანალიზო არეალში ზოგი სიტყვის **რ** და **ჟ** ვარიანტიანი ფორმები ერთდროულადაც გვხვდება, მაგ., ქვემოიმერულ კოდში **კვე-ჟო** „ხის პატარა ურო“, და მიგრირებულ ლეჩხუმელთა კოდში: **კვე-რი** „ჩაქუჩი“, ქვემოიმერულში არის: **კვეჟოიანი** „რაქიტანი“. ზოგ სიტყვაში **რ**-ს ხშირად **ჟ** ენაცვლება ლეჩხუმურში, იმერულში, გურულში, მაგ., **ფილტვი** > **ფირტვი** > **ფიჭვი**, რაც ქართველურ ენათა უძველეს ვითარებას ასახავს.

საბას ლექსიკონში ორივე ბგერიანი ფორმა შეტანილი, მაგრამ ისინი მაინც დიალექტების კუთვნილებად დარჩნენ.

გ) ამ თვალსაზრისით საინტერესოა აჭარ. **პეპეცი**: „ბევრი დუღილისგან ჩასქელებული საჭმელი“ (ალ. ლლონტი), სადაც **რ** დაკარგული ჩანს, უნდა ყოფილიყო: ***პერ-პე(რ)ც-ი**, შდრ.: ფორმა **პერ-ი**, ლაზური: **ბჯ-ი**, **პეჯ-ი** > **ბეჯ-ი** და ქართ. **მჭარ**- ფუძეები. ზმნა **იპეჯანენ** „სქელდება“, შდრ.: ქართ. **რ**, ზან. **ჭ**;

დ) ნარევი სამეტყველო კოდების სინქრონიულ ჭრილში ანალიზის დროს უმნიშვნელოვანესია სტარატიფიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის მიხედვით მონაცემთა დიაქრონიულ ჭრილში განხილვა, რის შედეგადაც ენის ისტორიის საყურადღებო ფაქტები შეიძლება გამოვლინდეს. საანალიზო არეალის ნარევი სამეტყველო კოდებში ანალოგიური ვითარება, კერძოდ, **შ**-ს გამჟღერებით მიღებული **ჟ** (მაგ., **ჟრუ(ჟ)-ი** / **შლუ(ჟ)-ი**) და უძველესი ქართულის დანაშრევის ამსახველი მაგალითები მოხსენებაშია წარმოდგენილი

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სახელთა წარმოქმნისათვის ლაზურში (ჟ. დიუმეზილის ლაზური ტექსტების მიხედვით)

ჟ. დიუმეზილის მიერ ჩაწერილი ლაზური ტექსტები წარმოქმნილ სიტყვათა მრავალფეროვნების არ გამოირჩევა. ეს ბუნებრივიცაა, — მკვლევარი მთელ მასალას ერთი ინფორმატორისაგან იწერდა.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ლაზური სიტყვაწარმოებითი საშუალებების ერთგვარი სისტემა. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს.

ქონების სახელები:

-ონ: **ჟურ-შურონი** „ორსული“, **ჟურნეჩ-ოდონ** „ორმოცთახიანი“, **დიცხირონი** „სისხლიანი“, **ჩილაპრონი** „ცრემლიანი“

-იარ > -მარ (ინტერვოკალურ პოზიციაში): **ონჯლორიარ** „სირცხილიანი“, **დერდიამი** „დარდიანი“, **დნოსიამარ** „ჭკვიანი“

-ერ: **მუანგერი** „შანგიანი“

უქონლობის სახელები:

უ-ელ: **უფარელი** „უფულო“, **უმითელი** „უპატრონო“ (ზედმ. „უარავისო“), **უწკარელი** „უწყლო“, **უგარელი** „უტემელი“ (ზედმ. „უსაჭმელო“), **უნუშემელი** „უმარილო“

უ-ე: **უგუნახე** „უცოდველი“

უ-უ: **უშუფუ** „დაუსველებელი, მშრალი“

უ-იარ: **უონჯლორიარ** „უსირცხვილო“

დანიშნულების სახელები:

ო-ელ / ო-ალ: **ონწელი** „აკვანი“ (ზედმ. დასარწევი“), **ოქოსა-ლე** „ცოცხი“

ო-უ: **ონცორუ** „საცერი“

ო-ონ: **ონწიალონი** „ეყვანი, საწკარუნო“

მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები:

-ონ: **დაძონი** „ეკალბარდი“ > (-ეფ)-უნ-ა: **თიფეფუნა** „ბალახი“, **თხომეფუნა** „თხმელნარი“, **ქვალეფუნა** „ქვავნარი“, **მშქეფეფუნა** „დაფნარი“, **ნჯალეფუნა** „ტყე“

-ონ > -უნ პროცესი მრავლობითობის აღმნიშვნელი ბაგისმიერი -ფ-ს გავლენით იხსნება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ -ონ სუფიქსი ენდემური ჯიშის მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნილ დერივატებში მონაწილეობს (ო. მემიშიში), მაგრამ ჩვენ მიერ გამოკვლეულ ტექსტებში გვხვდება ნასესხებ სიტყვასთანაც: **დალაფუნა** „ტყე“ (ზედმ. „ტყიანი“). **დად** თურქულად „ტყეა“

ერთადერთ შემთხვევაში გვხვდება თურქული **-ლულ** სუფიქსით გაფორმებული სახელი **კამიშლული** „ლერწმიანი“, თუმცა ეს სახელი ნასესხობათა რიგში განიხილება. ზოგადად ლაზურისთვის უცხო არაა თურქული აფიქსით გაფორმებული მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები: **ცხემლული** „ცხემლნარი“, **ისილული** „ისლნარი“.

სადაურობის სახელები:

-არ: **სიდერარ** „სიდერელი“, **ორჭადი** „ორჭელი“

-ურ: **დუთხური** „დუთხელი“, **ბათუმური** „ბათუმელი“, **არქა-ბული** „არქაბელი“

აბსტრაქტულ სახელებში გვხვდება როგორც ქართველური **-ობა** სუფიქსის დართვით მიღებული სიტყვები, ასევე თურქული **-ლულ** ბოლოსართით წარმოებულები:

-ობა: **ანაკობა** „ემმაკობა“, **ბერობა** „ბავშვობა“, **გაარობა** „სადილობა“, **მსქვანობა** „სილამაზე“.

-ლულ: **ავჯილული** „ნადირობა“, **საღლული** „ჯანმრთელობა“, **უსთელული** „ოსტატობა“.

გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევებიც: **ფადიშაჰობა** / **ფადიშაჰლული** „ფადიშაჰობა, მეფობა“, **ხაზიდობა** / **ხაზირლულ** „გამზადება“.

ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები მთლიანად ნასესხებია, მაგრამ ერთ-შემთხვევაში ლაზურ (resp. ქართველურ) სიტყვას უცხოური აფიქსი აქვს დართული: **ბორუფი** „მესაყვირე“.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტ)

თემის ნიშანთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში

ქართული ენის დიალექტებში (ქართლურში, კახურში, სა-მცხურში...) ფართოდ გავრცელებული პროცესია თემის ნიშანთა მონაცვლეობა (ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ **-ავ/-ამ** მონაცვლეობას — ხატამს, სვავს... **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები სისტემაში ზუსტად ერთგვარად იქცევა). მონაცვლეობის მაგალითები:

-ებ თემის ნიშანს ენაცვლება -ავ/ამ:

აკეთ-ებ-ს / აკეთ-ამ-ს; კიდ-ებ-ს / კიდ-ავ(-ამ)-ს, შეაგებ-ებ-ს / შეაგებ-ამ-ს, დაურიგ-ებ-ენ / დაურიგ-ამ-ენ (მოგვეყვას ის ვარიანტები, რომლებიც ამჟერად ტექსტებში დავადასტურეთ)...

მონაცვლეობა -ი — -ავ/ამ:

ყიდ-ი-ს / ყიდ-ამ-ს, ზრდ-ი-ს / ზარდ-ამ-ს, გახდ-ი-ს / გახად-ამ-ს, დაგვ-ი-და / დაგავ-ამ-და, ტენ-ი-ს / ტენ-ავ-ს, წონ-ი-ს / წონ-ავ-ს...

უთემისნიშნო დაირთავს -ავჩამ-ს:

ტეხ-ს / ტეხ-ავ(-ამ)-ს, მოგიტან / მოგიტან-ამ, ავიყვან / ავიყვან-ამ, მოვკვეთ / მოვკვეთ-ამ...

ფუძედრეკადი ზმნები დაირთავს -ავჩამ-ს:

გლეჯ / გლეჯ-ავ(-ამ)-ს / გლიჯ-ავ(-ამ)-ს, გრეხ-ს / გრეხ-ავ(-ამ)-ს / გრინ-ავ(-ამ)-ს...

-ებ თემისნიშნის ენაცვლება -ობ:

სრიალ-ებ-ს / სრიალ-ობ-ს, ტრიალ-ებ-ს / ტრიალ-ობ-ს, ჩურ-ჩულ-ებ-ს / ჩურჩულ-ობ-ს...

-ობ-ს ჩაენაცვლა -ავჩამ:

გიამბ-ობ / გიამბ-ამ, უამბ-ობ / უმბ-ამ...

შ-ობ-ს ზმნაში თემისნიშნის ფუძეში გადაირიცხა და დაირთო ახალი თემის ნიშანი:

შ-ობ-ს — შვ-ა, მაგრამ შობ-ავ(-ამ)-ს — შობ-ა...

-ავ თემის ნიშანი ფუძეში გადაირიცხება და დაირთავს -ობ-ს:

ცურ-ავ-ს — იცურ-ა — ცურა-ობ-ს — იცურავ-ა

გორ-ავ-ს — იგორა — გორა-ობ-ს — იგორავ-ა

ხტუნ-ავ-ს — იხტუნ-ა — ხტუნა-ობ-ს — იხტუნავ-ა...

აქ გვინდა გავიხსენოთ ძველ ქართულში მომხდარი ცვლილება:

-ავ — -ებ: იხატ-ვ-ის — იხატ-ებ-ა, იმალ-ვ-ის — იმალ-ებ-ა...

წარმოდგენილ ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს თემის ნიშანთა განაწილების პრინციპის შეცვლასთან; თემის ნიშანთა გადანაწილებას საფუძვლად გვარის კატეგორია ედება; **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ადგილს იმკვიდრებს მოქმედებითი გვარის ზმნებში; **-ობ** თემის ნიშანი მკვიდრდება საშუალო გვარის ზმნებში; ხოლო **-ებ** თემის ნიშანი — ვნებითი გვარის ზმნებთან.

გვარის კატეგორიის საფუძველზე თემის ნიშანთა გადანაწილება ცოცხალი პროცესია, რომელიც სათავეს ძველ ქართულში იღებს და დღემდე გრძელდება.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

მსგავსება-თანაბრობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში (ქართული ენის დიალექტებთან მიმართებით)

თანამედროვე ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში **მსგავსებისა** თუ **ერთგვარობის** სემანტიკას გამოხატავს შემდეგი ფორმანტები: 1. **-ვით:** ბავშვით, მეგობარსავით, დედასავით (სალიტ. ქართ.), რქათავით „რქებივით“... (აღმოს. საქართ. მთის დიალექტ.), ბუვიით „ბუსავით“, იმისავითა... (ქართლ.), კაცივით II კაცსავით II კაცისავით... (კახ.), კაცივი „კაცივით“ (ინგილ.), გზისავით, დღისავით, მამივით „მამასავით“, ჯორით „ჯორივით“... (მესხ.), ხევიით „ხესავით“, მზევიით „მზესავით“... (რაჭ.), ქვასავით „ქვასავით“, ძაღლისავით „ძაღლსავით“... (იმერ.), შაქარივით II შაქარისავით... (ლენჩხ.), ძმასავით II ძმასავით II ძმასავით „ძმასავით“, ჭირივით „ჭირივით“... (აჭარ.) და სხვ.; 2. **-ებრ:** კაცებრ (შდრ. კაცებრი), ბაყაყისებრ (შდრ. ბაყაყისებრნი) (სალიტ. ქართ.), თქვენსებ II თქვენსეფ... (ქართლ.), გუგრასებრა „გოგრისებრ“... (ინგილ.); **-ებრ** → **-ებ** → **-ეფ:** დედურებ II დედურეფ, გმირულეფ, თქვენსაეფ... (რაჭ.), კლდესაეფ, ჩემსაეფ... (იმერ.), ხარსაეფ, ჩემსაეფ... (აჭარ.) და სხვ.; 3. **-მებრ:** წესისამებრ, სურვილისამებრ... (სალიტ. ქართ.)..., 4. **-ებურ:** ძველებური, ჩვენებური... (სალიტ. ქართ.), ასეთებური, აქეთებური... (იმერ.); 5. **-ნაირ:** ამხანაგისნაირი, სახლისნაირი, ამნაირი... (სალიტ. ქართ.), ამნეირი, იმნეირი... (დასავლ. დიალექტ.); 6. **-გვარ:** ამგვარი, იმგვარი... (სალიტ. ქართ.); 7. **-მაგვარ:** არწივისმაგვარი, კიბისმაგვარი... (სალიტ. ქართ.); 8. **-თანა:** ამისთანა, იმისთანა... (სალიტ. ქართ.), ბიცოლასანა II ბიცოლესანა, კაცისანა... (გურ.); 9. **-ფერ:** ამფერი, იმფერი... (გურ., ქვემოიმერ., ლენჩხ.) და სხვ.

გამოიყოფა **თანაბრობა-თანაფარდობის** სემანტიკის გამოხატველი ფორმანტებიც: 1. **-ოდენ:** ჩემოდენი, შენოდენი...; 2. **-ოდენა:** ჩემოდენა, შენოდენა...; 3. **-ტოლ(ა):** ამტოლი „ამდენი“, ამტოლა

„ამოდენა“, **იმტოლი** „იმდენი“, **იმტოლა** „იმოდენა“, **ჩემოტოლა** || **ჩემოტონა**, **შენოტოლა** || **შენოტონა...** (ქართლ., კახ.); 4. -**ხელა**: **იმ-ხელა**, **ამხელა...** და სხვ.

მსგავსება-თანაბრობის სემანტიკის გამომხატველ ფორმათა საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია სახელთა ნათესაობითი, მიცემითი ან სახელობითი ბრუნვის ფორმები, ზოგჯერ — ფუძეებიც:

ა) საწარმოებლად გამოყენებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა:

არსებითი → **ზედსართავი**
აღამიანი → **აღამიანისმაგვარი**; **ჩანთა** → **ჩანთისნაირი**;
ბურთი → **ბურთისოდენა**; **მოედანი** → **მოედნისებური**; **კბილი** → **კბილისებრი**; **ლომი** → **ლომისგვარი**; **ბავშვი** → **ბავშვისხელა...**

არსებითი → **ზმნისართი**
სურვილი → **სურვილისამებრ** (სურვილისამებრ იქცევა...)
კაცი → **კაცისავით** (დიალექტ.): **კაცისავით** დაგველაპარაკა...
ზედსართავი → **ზედსართავი** (მსგავსების სემანტიკის მინიშ-

ნებით):

პატარა (გასუბსტანტ.) → **პატარისნაირი**
რიცხვითი → **ზედსართავი**
მეორე (გასუბსტანტ.) → **მეორისმაგვარი**; **მეოთხედი** (გასუბსტანტ.) → **მეოთხედისოდენა** და სხვ.

ნაცვალსახელი → **ზედსართავი**
მე — ნათ. **ჩემ** — **ჩემოდენა...**

ბ) საწარმოებლად გამოყენებულია მიცემითი ბრუნვის ფორმა:

არსებითი → **ზმნისართი**
დედა → **დედასავით** (**დედასავით** ლაპარაკობს...)

გ) საწარმოებლად გამოყენებულია სახელობითი ბრუნვის ფორმა:

არსებითი → **ზმნისართი**
ძალდი → **ძალდივით** (**ძალდივით** იღრინება...)

დ) საწარმოებლად გამოყენებულია სახელის ფუძე:

არსებითი → **ზედსართავი**
კაცი → **კაცებრი** (**კაცებრი** გამოხედვა ჰქონდა...)

არსებითი → **ზმნისართი**

ბავშვი → **ბავშვისებრ** (**ბავშვისებრ** ტიკტიკებდა...) და სხვ.

როგორც ჩანს, **-ნაირ**, **-გვარ**, **-თანა**, **-ფერ** და სხვა ამ ტიპის ფორმატები, ისევე როგორც **-ვით** და **-ებრ** თანდებულები, თანამედროვე ქართულსა თუ ქართული ენის დიალექტებში ძირითადად გამოიყენებიან ერთსა და იმავე შემთხვევებში (მსგავსების სემანტიკის გამომხატველ ფორმათა საწარმოებლად).

ლი ლ ე თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა

(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თურქული ელემენტები ჯორჯ დუმეზილის ართაშენულ-ლაზურ ტექსტებში

თავად ართაშენული კილო წარმოადგენს ლაზურის დასავლურ კილოთა ჯგუფს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. ამ ტექსტების ჩაწერა მოხდა გასული საუკუნის 1930-31 წწ- ში. თავად ავტორი აღნიშნავს მას, რომ იგი ართაშენული მოხუცებისაგან ჩაიწერა. შემდეგ ტექსტები გადამოწმდა და შედგა არქაბული ვარიანტიც, მაგრამ ორივე ვარიანტებში გვხვდება თურქული ელემენტები, რომელიც გამოყენებულია ტექსტებში.

ჩვენი კვლევის საგანი არის თურქიზმები ლაზურში. თითოეული რესპოდენტი თავისებურებად წარმოთქვამს თურქულ ლექსიკას. ამიტომაც განსხვავებული ფორმები ფიქსირდება. ჩვენ აგრეთვე გვინტერესებს თუ რა სიხშირით იხმარებოდა იმ დროს ლაზურში თურქული ლექსიკა და გვინდა შევადაროთ დღევანდელ მდგომარეობას.

ზოგიერთი ფორმა აუცილებლად შემოდის, ზოგი იცვლის ფორმას, ზოგიც როგორც ძირი რჩება თურქული, ხოლო აფიქსები დართული აქვს ლაზური. ე.ი. ლაზური წარმოებისაა.

ნ ა ნ ა კ ა ჯ ა რ ა ვ ა

(ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ლ უ ი ზ ა რ უ ხ ა ძ ე

(თბილისი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი)

ჩვენებურების მეტყველებაში ზოგიერთი ნასესხები სიტყვის მორფოლოგიური ანალიზისათვის

რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში ვიდრე 1921 წლამდე მუდმივად მიმდინარეობდა მუჰაჯირობის პროცესი. მუჰაჯირობა დასახლების ადგილებში (შავიზღვისპირეთი, ანატოლიის შიდა რეგიონები — ბურსა, მალათია), ზოგიერთ სოფელში დღესაც საუბრობენ ქართული ენის აჭარულ, კლარჯულ და იმერხეულ დიალექტებზე.

თურქეთში მცხოვრები ქართველების ანუ ჩვენებურების მეტყველება ქართული ენის არქაულ სურათს იძლევა. ჩვენ მიერ შემოთავაზებული მასალა ქართული ენის უკვე განვლილი ეტაპის ცოცხალი ილუსტრაციაა. ამ მასალის სიღრმისეული გამოკვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ქართული და თურქული ენების საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი საკითხების მეცნიერულ კვლევას.

მასალად გამოყენებულია შუშანა ფუტყარაძის მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული“ (ტ. I, ბათუმი, 1993).

მოხსენებაში განვიხილავთ ნასესხობათა სამ მორფოლოგიურ ჯგუფს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა. ნასესხები სიტყვები ქართული ენის მორფოლოგიური ფორმანტებითაა გაფორმებული. სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა სახელიდან ნაწარმოები ზმნების ჯგუფი. მაგალითად, ბუდალა (სულელი) → აბუდალებს, თერბიე (ზრდილობა) → ათერბილებს, ჰოროზი (მამალი) → იჰოროზა, კონუმმაკ (საუბარი) → იყო-ნუმონ, მერაყი (ინტერესი) → იმერაყა, ჩიზმეჟ (ხაზვა, ხატვა) → მოჩიზავს, შენლიქ (მხიარულება) → იშელიგეს და მისთ. სახელიდან ნაწარმოებ ზმნებში გამოყენებულია ქართული ენის ზმნისათვის დამახასიათებელი ნაწარმოებლები — პირის, რიცხვის, თემის ნიშნები და სხვ.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნასესხებ სოციოლექტიზმთა ადაპტაციისათვის თანამედროვე ქართულში

სოციოლექტი მოიცავს ისეთ ლექტებს, როგორებიცაა ჟარგონი, არგო, სლენგი, პროფესიული და დარგობლივი ლექსიკა და ა. შ. ამიტომ, სოციოლექტებში ნასესხები სიტყვები დიდი რაოდენობით გვხვდება.

სხვა ენობრივი სამყაროდან სიტყვათა შესახებ ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. შეიძლება გამოვყოთ ნასესხობათა სამი ჯგუფი: სრულიად ადაპტირებული, არადაპტირებული და ნაწილობრივ ადაპტირებული.

ადაპტაცია ხდება ორთოგრაფიის, ფონოლოგიის, გრამატიკისა და სემანტიკის დონეზე.

სოციოლექტიზმების ორთოგრაფიის განხილვისას, რა თქმა უნდა, ნასესხები ლექსიკური ერთეულები გვაქვს მხედველობაში. ამ შემთხვევაში რამდენიმე ვარიანტი შეიძლება გამოვყოთ: 1) ნასესხები სოციოლექტიზმი ყალიბდება ნიმუშის წარმოთქმის საფუძველზე: **image** – იმიჯი, **хвост** – ხვოცტი 2) სოციოლექტიზმის ორთოგრაფია ემთხვევა ეტიმონისას ყოველგვარი ცვლილების გარეშე, **monitor** – მონიტორი, **угонщик** – უგონშიკი 3) ნაწილობრივ ემთხვევა წარმოთქმას, ნაწილობრივ — ორთოგრაფიას, **overtime** – ოვერტაიმი 4) ორთოგრაფია ყალიბდება შუამავალი ენის ზეგავლენით, **budget** — ბიუჯეტი, **киллер** — კილერი 5) გვაქვს წარმოთქმისა და ორთოგრაფიის ვარიაციულობის შემთხვევებიც, ჩეტი/ჩატი...

ნასესხები სოციოლექტიზმების ფონოლოგიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თუ ორივე ენის წარმოთქმის სისტემას აქვს ერთგვარი ელემენტები, მაშინ ხდება სრული ჩანაცვლება. ამ პროცესს ნულოვანი ტრანსფონემიზაცია ეწოდება, **cool** — ქული, **zoom** — ზუმი 2) თუკი ნასესხები სიტყვის ზოგიერთი ელემენტი თავისი აღწერით

ძირითადი მოდელისაგან განსხვავდება, მაშინ წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ უთანაბრდება ეტიმონს. ამ პროცესს ნაწილობრივი ან კომპრომისული ტრანსფონემიზაცია ჰქვია, **company** — კომპანია 3) თუკი ნასესხები ეტიმონის წარმოთქმა შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომელსაც მიმღები ენის ბგერათა სისტემაში ეკვივალენტი არა აქვს, მაშინ ჩანაცვლება თავისუფალია. ეს პროცესი თავისუფალი ტრანსფონემიზაციის სახელს ატარებს, **weekend** — უიკენდი/ვიქენდი...

სოციოლექტებში დამკვიდრებული ნასესხობათა უმრავლესობა არსებითი სახელებია, რომლებიდანაც ნაწარმოებია შემდეგ ზედსართავები და ზმნები.

ნასესხობათა მორფოლოგიური ადაპტაციის შემდეგი ვარიანტები შეიძლება გამოიყოს. 1) ნასესხობას შესაძლოა ჰქონდეს იგივე ფორმა, რაც ეტიმონს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეტიმონზე მიმღები ენის არანაირი სუფიქსის დამატება არ ხდება, რასაც ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია ჰქვია, **cool**- ქული, **хвост** — ხვოსტი 2) როცა ნასესხობა ინარჩუნებს ეტიმონის სუფიქსს, ამ პროცესს კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია ეწოდება, **speaker** — სპიკერი, **накольный** — ნაკოლჩიკი 3) ნასესხები სიტყვის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი იმავე ფუნქციითა და მნიშვნელობით, როგორც ნასესხობის სუფიქსია, ამ პროცესს სრული ტრანსმორფემიზაცია ჰქვია, **sarcastic** — სარკასტული 4) არის შემთხვევები, როცა ნასესხობა ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთანავე მიმღები ენის სუფიქსს იმატებს, **chips** — ჩიპსები.

ნასესხებ სიტყვას თავის ენაში შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობა. სესხებისას შეიძლება ლექსიკურმა ერთეულმა განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინოს, მაგ., სელექცია. შესაძლოა რამდენიმე მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთი ვისესხოს, რაც ყველაზე გავრცელებული მოვლენაა ქართულ სოციოლექტებში, მაგ., ბუქმეიკერი...

მ ა ი ა მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე , თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე
(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

იმერული დიალექტი კახურ გარემოში

იმერლები ლაგოდების რაიონში სოფლებად ცხოვრობენ, ამიტომ მიუხედავად კახეთში საუკუნოვანი სახლობისა, თან მოყოლილი მეტყველება საკმაოდ კარგად აქვთ შემონახული. უპირველესად, ეს ითქმის ზმნისწინთა ასიმილირებულ ფორმებზე, ქონა ზმნის რედუცირებულ ფორმებზე, ზოგიერთ თანდებულის ფორმაზე, ნაცვალსახელებზე და სხვ.

ზმნისწინი **მა**- იმერულსაც ახასიათებს და კახურსაც, ამიტომ ლაგოდებელ იმერელთა მეტყველებაში კახურის გავლენას ვერ მივაწერთ მის არსებობას. **მა**- ზმნისწინიანი ფორმები აქაურ მეტყველებაში ჩვეულებრივია, მაგალითად: რავი, მედალიც მამცეს შდრ. მომცეს და სხვა მრავალი.

სვლა ზმნის ფუძემონაცვლე ფორმები: მაქ „მაქვს“, გაქ „გაქვს“, აქ „აქვს“ იმერლებს არ შეუცვლიათ, რადგან კახურშიც ჩვეულებრივია ისინი, მაგალითები ლაგოდებელ იმერელთა მეტყველებიდან: ძან დიდი გაჭირვება მაქ ნახული... თუ გაქ ამდენი; სხვა მიდვრები გვაქ. შდრ. გვაქვს.

ზმნისართები: აქინე, მაქ კახურს არ ახასიათებს, იმერულის ფორმებია შემონახული ლაგოდებელთა მეტყველებაში: ჩამოსულები არიან, გენაცვალე, აქანე ბაბუა და ბებია და შვიდი შვილი; მაქ „მანდ“ და სხვ.

-იზა დაბოლოებიანი თანდებულის ფორმა (< **-ის-და**, სადაც **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, **-და** კი — თანდებული. მათი შერწყმა ფონეტიკური ცვლილებით იძლევა **-იზა** დაბოლოებას) მხოლოდ იმერულს ახასიათებს, კახურს ის არა აქვს, ე. ი. შემონახულია იმერელთა მეტყველებაში: შენ თუ შენი ჯანმთელობიზა ქონდა... შდრ. კახ. ჯ ა ნ მ თ ე ლ ო ბ ი თ ვ ი ნ .

შემონახულია იმერული რავა ზმნისართი. ეს ფორმა კახურს არ ახასიათებს: რავა იყო და მე ვცხოვრობდი ბებიას სახში... შდრ. კახ. რ ო გ ო .

ჩვენი დაკვირვებით, იმერული დიალექტის კარგად შემონახვა იმ ფაქტსაც უნდა მიეწეროს, რომ იმერეთიდან მიგრაცია ლაგოდეხისკენ ერთი საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა და კახური დიალექტის ფორმები აქა-იქ თუ შეგვხვდება ლაგოდეხელ იმერელთა მეტყველებაში, მაგ., იმაღ ავზილავთ კარგათ შდრ. იმას.

მ ა ი ა მ ი ქ ა უ ტ ა ძ ე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ხანმეტობის კვალისათვის ქართველურ კილოებში

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში ხანმეტობის კვალი ჩანს **ხარ** და **მოხვალ** ფორმებში. სხვა შემთხვევებში II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნის ვარიანტები, როგორც წესი, არის:

0- — ხმოვნების წინ;

ჰ- — ბაგისმიერი (**ბ, ფ, პ**) და რბილსასისმიერი (**გ, ქ, კ**) ხშულების, აგრეთვე სპირანტებისა (**ზ,ხ; ყ,შ; ჯ,ხ; ყ**) და სონანტების (**ვ, ლ, მ, ნ, რ**) წინ;

ხ- — კბილისმიერი (**დ, თ, ტ**) წინანუნისმიერი (**ძ, ც, წ**) და უკანანუნისმიერი (**ჭ, ჩ, ჭ**) ხშულების წინ.

შეინიშნება მერყეობაც: გა-ჰ-ჟუჟვია II გა-ს-ჟუჟვია, და-ჰ-რჩენია II და-ს-რჩენია.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტების (მათ შორის მეგრულ-ლაზურშიც) უმეტეს ნაწილში თვისობრივად მსგავსი სურათია.

ტრადიციული მოსაზრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელია **ჰ-** ფორმანტი, რომლის ფონეტიკური ნაირსახეობანია:

ჰ- > ნ- > მ- > ყ-;

ჰ- > ნ- > მ-;

ჰ- > ნ- > მ-;

ჰ- > 0- (ა. ჰინჭარაული, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ V-VII საუკუნეების სამწიგნობრო ქართული ენის ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად, სვანურში **ხ-** პრეფიქსი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშიხი „იწვი“, ხ-ასყი „აკეთებ“, ხ-ატბიდე „ათბობ“... ხ-ალატ „უყვარს“, ხ-აჰუდი „აძლევს“, ხ-ავდი „სძინავს“...). იგივე ხ- პრეფიქსი ამოსავლად მიჩნეულია თუშური და ხევსურული ლ/ხ ალომორფებისთვისაც (ტ. ფუტყარაძე).

კვლევის ამ ეტაპზე რამდენადაც ჩვენთვის საინტერესოა **ხ-** ალოფონის წარმომავლობა, საანალიზოდ წარმოვადგენთ სათანადო ხევსურულ მასალას:

და-**ხ**-ფარავს, მო-**ხ**-პარავს, **ხ**-ქვიან, და-**ხ**-კაზმავს, და-**ხ**-წელთავს, და-**ხ**-ყაბულდა... **ღ**-ბავ ("ბღავის"), მა-**ღ**-გვრის, **ღ**-ვედრის, წა-**ღ**-ლა-ლავს, და-**ღ**-მალავს, **ღ**-ნახავს, **ღ**-რიდებს... შა-**ღ**-ომებიან, გა-**ღ**-ოფლიანებიყვ, **ღ**-ოქრომჭედლობ, **ღ**-ავადობ...

დასტურდება პარალელური ფორმებიც: მა-**ღ**-მკის//მა-**ხ**-მკის, გა-**ხ**-ფრინდი//გა-**ღ**-ფრინდი...

ისმის კითხვა: **რა უფრო ლოგიკურია:**

ამ ფორმებისთვის ამოსავლად დავუშვათ VI საუკუნის (ხანმეტობის დროინდელი) ქართულის ვითარება თუ უფრო გვიანდელი?

ბასუხისთვის საინტერესო არგუმენტი შეიძლება მოგვცეს ფონეტიკური პროცესის მიმართულების ანალიზმა:

როგორც წესი, ქართველურ ქვესისტემებში **ჰ-**დ ტრანსფორმირებული პირის ნიშანი ხმოვნების წინ იკარგება; მთის კილოებში კი მის ნაცვლად გვაქვს **ღ**. რამდენადაც მთის კილოები ბევრ არქაულ მოვლენას ინახავს, უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ ეს **ღ** ალომორფი მოგვცა **ხ-** პრეფიქსმა; შდრ., ნაკლებლოგიკურია, რომ არქაული **ხ**-სგან მიღებულმა **ჰ-**მ, ისევ მოგვცა **ხ**, შემდეგ კი, ამ **ხ-**მ — **ღ**. იგივე ითქმის სონორების, მყდერებისა თუ ჩქამიერების წინ გამოვლენილი **ღ**-ს შესახებაც; მაგ., ბაგისმიერი ყრუ თანხმოვნის წინ (**ხ**-ფარავს, **ხ**-პარავს...) რას უნდა გამოეწვია **ჰ** > **ხ** პროცესი?

შესაბამისად, ვფიქრობთ, ქართული (ქართველური) ენის მთის კილოებში რეალურად ჩანს საერთოქართველური მოვლენის — ხანმეტობის კვალი.

მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ა ძ ე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

შეთანხმების საკითხისათვის ზოგ დასავლურ დიალექტში

(იმერულის, რაჭულისა და გურულის მაგალითზე)

1. შეთანხმების საფუძველი პირველ რიგში ლექსიკური შეხამებულობაა, ხოლო მეორე მხრივ, საზიარო მორფოლოგიური კატეგორია, რის გამოც ქართული სალიტერატურო ენა იცნობს შეთანხმების 3 შემთხვევას:

1. სახელისა და სახელის ბრუნვაში შეთანხმებას;
2. სახელისა და სახელის რიცხვში შეთანხმებას;
3. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმებას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართული ენის ზოგიერთ დასავლურ დიალექტში?

დასავლურ დიალექტებში სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების საკითხი ხშირ შემთხვევაში დარღვეულია; კერძოდ:

ა) კრებითი სახელით გადმოცემული არსებითი სახელები ზმნას მრავლობით რიცხვში აყენებენ, რაც თითქმის ყველა დასავლურ დიალექტში შეგვხვდა (იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, აჭარულში, გურულში). (მოხსენებაში გაანალიზებული იქნება შესაბამისი საილუსტრაციო მასალა იმერულის, გურულისა და რაჭულის მაგალითზე).

ბ) დასავლურ დიალექტში შემასმენელი აზრის მიხედვით უწევს ანგარიშს ქვემდებარეს და მრავლობითში დგას:

ის ჯარი მეტს იქმონენ... (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 65).

ხალხი გათავხედდენ (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 94).

შეშინდენ ეს ხალხი (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 94).

ყველა იყვენ აქანა (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 94).

ძირ ქვე იწვენ ხალხი (რაჭული, ბ. ჯორბენაძე, I, გვ. 164).

ჯარი სისხამ დასცემოდენ ციხე-გოჯს (რაჭული, ბ. ჯორბენაძე, I, გვ. 86).

ხალხი ჟიოდენ (გურული, პ. ჯაჭანიძე, გვ. 43).

გ) გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ქვემდებარე და შემასმენელიც ორივე მრავლობითში დგას:

ბღარები წყაროსთან წევრან (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 65).

კაცები დაჟდენ და ლაპარაკი დეიწყენ (გურული, პ. ჯაჭანიძე, გვ. 14).

როცა ძმები დამოწიფულდა, გეიყვენ (გურული, პ. ჯაჭანიძე, გვ. 15).

ადგენ სამი აფხანიკები (გურული, პ. ჯაჭანიძე, გვ. 23).

ყველა სტუმრები შეყრილიყვენ ერთად (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 75).

იყო ორი ძმანი (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 95).

დ) ზეპირსიტყვიერებიდან შეგროვილი მასალებიდან დაფიქსირდა ძველი ქართულის ამსახველი ვითარება, როცა ებ-იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ვერ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში:

შვილებმა ქვე მიღალატა (რაჭული).

ბაღნებმა გაცალა იქოურობა (იმერული).

ქე იყიდებოდა ის დაწყევლილი წაბლები (იმერული).

ე) სახელები შეთანხმებულია რიცხვსა და ბრუნვაში, როცა სალიტერატურო ენა ასეთ ვითარებას გმობს:

ხუთნი კაცნი მევიდენ (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 67).

შვიდი ყაჩაღები დახვთერიან და მოუკლამთ (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 105).

სამი ძმების მოკეთები იყო (იმერული, ქ. ძოწენიძე, გვ. 94).

ცოტა ქალები ნიგოზს ნაგროვებლარიენ (რაჭული, ბ. ჯორბენაძე, I, გვ. 161).

სამმა მწყემსებმა ქვე დაუკლეს ძროხა (რაჭული, ბ. ჯორბენაძე, I, გვ. 253).

2. ნაშრომში წარმოდგენილია მდიდარი სამეცნიერო კვლევის მონაცემთა ბაზაზე დასავლურ დიალექტთა ტექსტებსა და ზეპირ მეტყველებაზე დაყრდნობით რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების თავისებურებათა, ზოგადი სურათი, რაც გამყარებულია შესაბამისი საილუსტრაციო მასალით.

ცია ლა ნარაკიძე

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ხეხილის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში

ხეხილის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკა ლაზურში შედარებით კარგადაა შემონახული, საინტერესო და თვითმყოფადია.

ამ დარგის ლექსიკის კვლევისას აღმოჩნდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა უმრავლესობას სპეციალური ლიტერატურა არ იცნობს (მერწი — ყუნწი, კობული — დაუმწიფებელი ნაყოფი, პიო — დაუმწიფებელი ლეღვი, ხუკეი — გაფუჭებული ხილი, ჭაპი, ფოსო — ფესვი, ხოხოლონი — ნაყოფით დახუნძლული ხე).

ამ დარგის ლექსიკაში გვხვდება მარტივი ფუძეები, პრეფიქს-სუფიქსური და კომპოზიციური წარმოება.

ხეხილის მოვლა-მოშენებასთან დაკავშირებული ლექსიკის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ხილის უამრავი სახეობაა ცნობილი ლაზურში.

მასალა შეკრებილია თურქეთში მცხოვრებ ლაზ მოსახლეობაში, კერძოდ, ხოფასა და მაკრეალში.

ნ ა ნ უ ლ ი ნ ო დ ა ი დ ე ლ ი

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ორი კოლხური ღვთაების სახელის კვალი აჭარულში (ნერჩი, ოღოში)

კოლხურ ღვთაებებს საპატიო ადგილი ეთმობათ ქართულ წარმართულ პანთეონში. მათ რიცხვს მიეკუთვნება მიწის ღვთაება **ნერჩი** და მოსავლის ღვთაება **ოღი**. მათი სახელები, გარდა მეგრულ-ლაზურისა, ქართული ენის თითქმის ყველა დასავლურ დიალექტში ფიქ-

სირდება და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. სიტყვა **ნერჩი** გვაქვს აჭარულშიც და იგი ჭურჭლის ფსკერს აღნიშნავს.

სამეგრელოში მიწის ღვთაებასთან დაკავშირებით მრავალი რიტუალი ტარდება, ძირითადად, მშობიარისა და ახალშობილის საკეთილდღეოდ. **ნერჩის**, როგორც მიწის ღვთაების თაყვანისცემა, ადრეულ ხანაში მთელი კოლხური სამყაროსათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. მიწის კულტთან დაკავშირებული მსგავსი რიტუალების ჩატარება დგინდება აჭარელთა ყოფაშიც. თუმცა თვითონ ღვთაების სახელი, როგორც ჩანს, მხოლოდ ჭურჭლის ფსკერის აღმნიშვნელ ტერმინშია შემონახული. **ნერჩი** ზანიზმს უნდა წარმოადგენდეს როგორც აჭარულში, ისე სხვა დიალექტებშიც.

კოლხთა მიწის ნაყოფიერების ღმერთია ოდიც. ახლაც პოპულარულია მისი საგალობელი სიმღერა **ოდოია**. **ოდი**-დანაა ნაწარმოები ტოპონიმი **ოდიშიც**. ტრანსფორმაცია განიცადა მათმა სახელებმაც. სულხან-საბასთან **ოდი** უკვე „წვიმა-მზიანით ნაწყენობაა“. **ოდი**-დან ნაწარმოები სახელი **ოდოში** კი შემოუსვლელ, „დაუჟამებელ“ ნაყოფს აღნიშნავს. აჭარულშიც ამ მნიშვნელობით შემოგვიანა ტერმინები **ოდოში** და **ოდოშდერი (ოდოუდერი)**. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით „**ოდოში** ჭანური ფენისა და ნაკადის წვლილი უნდა იყოს სამწერლობო ქართულში“.

ნ ი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

(გორი. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საამილახოროს დავთრის ტექსტის მორფოლოგიური თავისებურებანი

საამილახოროს დავთარი არის მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლი, რომელიც ძირითადად ტიროფონის ველისა და მდინარე ლეხურის ქვემო წელის მოსახლეობის, სოფლების აღწერას ისახავს მიზნად. აქვე წარმოდგენილია საამილახოროს აზნაურთა, ეპისკოპოსის ყმათა ოღენობა, ამასთან აღნიშნულია თითოეული კომლი-

დან გამომსვლელ მოლაშქრეთა რაოდენობა, ამა თუ იმ იარაღის (შუბი, თოფი) ჩვენებით და სხვა.

დავთარში ფიქსირებულია ადამიანთა სახელები, გვარები, გეოგრაფიული სახელები, რის შესწავლასაც მრავალმხრივი ინტერესი ახლავს. უდავოა, რომ ის პირველ რიგში ენათმეცნიერული პოზიციებიდან უნდა იქნეს განხილული, რადგან ანთროპონიმია და ტოპონიმია ლექსიკოლოგიის სფეროს განეკუთვნება და მისი დარგის — ონომასტიკის შესწავლის საგანია.

ამ დროისათვის ძეგლის ენის მიხედვით ირღვევა ენობრივი ტრაფარეტები და თავს იჩენს დიქლექტიზმები, რომელიც ცოცხალ მეტყველებას ეფუძნება და ასახავს მნიშვნელოვან თავისებურებებს.

დავთარი შინაარსობრივად მრავალფეროვანია და მორფოლოგიური წარმოების სიუხვითაც გამოირჩევა.

ჩამოთვლილ სოფლებს ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს **ს** ელემენტი. მაგალითად: სოფელ რეხს, ვერიასს, ნაწრეტს, ავაზანს, მოხისს, ბერშოეთს...

ყმათა მფლობელების ჩამოთვლის დროს სახელებსა და გვარებს შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: ქუმსის და ბეჟანის, ყანჩაელის, მურაჩაშვილის, ბასილიშვილის, სამთავნელის, მადრანელის, ლიპარიტიშვილის...

გვართა ჩამოთვლისას ზოგან შენარჩუნებულია სავრცობი -ა: ზურაბისა, ვარამისა, ბიძინა ჯავახისა, ზაალისა, თამაზისა...

დავთარში წარმოდგენილია ქართული გვარების მრავალრიცხოვარი ჯგუფი, რომელთაგან აღვნიშნავთ სადაურობის აღმნიშვნელ გვარებს, რომელთაც მაწარმოებლად მოუდით **-ელ** სუფიქსი. მაგალითად: ხევის ჯვარ-ელ-ი მოლაშქრე, ყინვალ-ელ-ი გამიხარდი, ცხაოტ-ელ-ი ივანა თოფით, მადრან-ელ-ი შუბით, იმერ-ელ-ი პაპუნა თოფით და სხვა. **-ელ** სუფიქსს აქვს პოტენცია დიალექტში იმავე ფუნქციით იქნეს გამოყენებული, როგორც -ურ სუფიქსი.

დავთარში ჩამოთვლილია ასეულობით გვარ-სახელი, რომელთა უმეტესობა დღეს აღარ გვხვდება მხარეში, მაგრამ მათი აღდგენა შეიძლება. ასეთებია: თურქიაშვილი ბერიკა (ბერიკაშვილი), ხითარიშვილი ბასილა (ბასილაშვილი), ბზურიული ნადირა (ნადირაშვილი). გო-

ჩიაშვილი გოგია (გოჩიაშვილი), ხევისჯვრელი პეტრია (პეტრიაშვილი), ბაცქარელი ზაქუტა (ზაკუტაშვილი) და მრავალი სხვა.

დოკუმენტში გვხვდება მოქმედების აღმნიშვნელი ანთროპონიმები, მაგალითად: მინდოდაშვილი, პირვართაშვილი, მიყუროდაშვილი, მიშველაშვილი, გამცემლიშვილი, რომლებიც მეტი ექსპრესიულობით გამოირჩევიან.

მოხსენებაში წარმოდგენილია სხვა მაგალითებიც.

რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების (ფერეიდნელების) მეტყველების მაგალითზე

სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ხანგრძლივმა ტრადიციამ ნასესხები ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადატვირთული მასალის არსებობა განაპირობა ქართულ ენაში. სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა შესწავლისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ფერეიდნული მასალის ანალიზს. ამ ქართული დიალექტის თავისებურება შეპირობებულია სპარსულ ენასთან და ირანულ ყოფით და კულტურულ გარემოსთან ხანგრძლივი და უშუალო ურთიერთობით.

ფერეიდნული ქართული ენის ერთ-ერთი დიალექტია. მასზე მეტყველებენ ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ პროვინციაში — ფერეიდანში მცხოვრები ქართველები. დღეს ირანში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ერთადერთი რაიონია ფერეიდანი. ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე თეირანში, ისპაჰანსა და სხვა ქალაქებში.

ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით, დღეს ფერეიდანში 50000-მდე ქართულად მოლაპარაკე ადამიანი სახლობს. ოფიციალური ენა სპარსულია, ხოლო ქართული ფუნქციონირებს, როგორც ოჯახის, ში-

ნათური ურთიერთობების ენა. ფერეიდნელი ქართველები სრულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ მშობლიური გარემოდან. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში არანაირი კონტაქტი არ ჰქონიათ მშობლიურ გარემოსთან. ფერეიდნელის სრულმა იზოლაციამ ქართული სამწერლო ენისა და დიალექტებისაგან, ამავე დროს, სტრუქტურულად განსხვავებულ ენობრივ გარემოში მოხვედრამ განაპირობა მასში მოქმედი სხვადასხვა ხასიათის ტენდენციები. შეინიშნება ნასესხობათ დიდი რაოდენობა, ინტერფერენტული მოვლენები.

ჩვენი კვლევა ემყარება 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერსა და 2009 წლის მარტში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მივლინებისას ჩაწერილ მასალას, რომლის ანალიზისას თვალში საცემია ნასესხობათა დიდი რაოდენობა, გვხვდება ზმნის ანალიზური ფორმები (რაც სპარსულისთვის არის დამახასიათებელი), კალკირებული ფრაზები. მოვიხმობ კონკრეტულ მასალას, რაც უფრო მკაფიოსა და ხელშესახებს გახდის ენობრივ ურთიერთობათა მექანიზმს.

ზმნის ანალიზური ფორმები: ფერეიდნ. ბევრი **ეთეფაყები ჩავარდა** = სპარს. **etefaq oftādan** “დამართება“, „მოხდომა“ (**etefaq** “მოვლენა“, „შემთხვევა“. **oftādan** „დაცემა“, „ჩავარდნა“); ფერეიდნ. თოლები **ამალი მიქნია** = სპარს. **amal kardan** “მოქმედება“, „აპერაციის გაკეთება“ (**amal** „საქციელი“, „შრომა“, „მუშაობა“, **kardan** „კეთება“); ფერეიდნ. **ზაჰმათს ეზიდების** = სპარს. **zahmat kešidan** „შრომა“, „მუშაობა“, **zahmat** „შრომა“, „მუშაობა“, „ძალა“, „ღონე“. **Kešidan** „გაწევა“, „გაქაჩვა“).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ირანელი ქართველების მეტყველებაში გვხვდება ანალიზური წარმოების ზმნები, რაც სპარსული ენის გავლენაა, მაგრამ ვხვდებით საპირისპირო შემთხვევებსაც (შედარებით იშვიათად) : სპარსული ანალიზური წარმოების ზმნის სახელური ნაწილი მოქცეულია ქართული ორგანული წარმოების ზმნის ყალიბში: ფერეიდნ. **გავაფაქოთ** = სპარს. **pāk kardan** „გასუფთავება“, „გაწმენდა“ (სპარს. **pāk** „სუფთა“, „წმინდა“, **kardan** „კეთება“); ფერეიდნ. **დავაფიადე** = სპარს. **piyāde kardan** „ჩამოსვლა“, „ჩამოქვეითება“ (**piyāde** „ქვეითი“, **kardan** „კეთება“) და სხვა მრავალი შემთხვევა.

იზოლდა რუსადე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ლადო ბზვანელის მიერ მოპოვებული იმერული ლექსიკისთვის

1. გაზეთ "თემისა" და "სახალხო საქმის" მუდმივი თანამშრომელი, ჟურნალისტი ლადო ბზვანელი იყო აკაკი წერეთლის თანამგზავრი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს და პოეტის მემატთანე. მან მაშინვე აღწერა პრესაში აკაკის მოგზაურობა და კრებულიც გამოსცა (ლადო ბზვანელი, აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ქუთაისი, გამოცემა დ. შარაშენიძისა, 1912, 187 გვ.). დაცულია საჯარო, ლენინის სახელობის მოსკოვის საჯარო, სალდიკოვ-შჩედრინის სახელობის პეტერბურგის საჯარო და აკადემიის ბიბლიოთეკებში (მითითებულია ქართულ წიგნში, ტ. I, ბიბლოგრაფია, 1629-1920, თბ., 1941, გვ. 355, № 4070).

ლადო ბზვანელი, იგივე ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი, აკაკის მოგზაურობას გაზეთებში "მგოსნის მხლებლის" ფსევდონიმით აქვეყნებდა (გაზეთი "სიტყვა და საქმე", 1943, №7).

იყო ქართული ენის მოჭირნახულე. აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობის განვითარებაში.

2. 1900 წლის 8 აგვისტოს გაზეთ "ივერიაში" (გამომცემელი ილია ჭავჭავაძე, დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი, სტამბა მ. შარაძისა), №172, დაიბეჭდა ლადო ბზვანელის მიერ მოპოვებული იმერული დიალექტის ლექსიკური ერთეულები სათაურით: "ქართული ენის საუნჯის მასალად". სიტყვები ავტორს შეკრებილი აქვს იმერეთში; სულ განმარტებულია სამ ათეულამდე ლექსიკური ერთეული. დაბეჭდილი მასალა ანბანზე გაწყობილი არ არის.

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის დროს ლადო ბზვანელის მიერ "ივერიაში" დაბეჭდილი სალექსიკონო მასალათა გარკვეული რაოდენობა გათვალისწინებული საერთოდ არ არის.

4. ზოგიერთი სიტყვა, ლადო ბზვანელის მიერ მოპოვებული, ქველში სხვაგვარად არის ახსნილი. მაგალითად: ლენჩი, ლაყუნ, ჯანჯალი, როკაპი, გამოწყვეტილი, ფრახი... ლადო ბზვანელის განმარ-

ტებანი ამ ლექსიკურ ერთეულებთან უგულვებლყოფილია, სინამდვილეში — გასათვალისწინებელი.

5. რამდენიმე ლექსიკური ერთეული (გალაქლაქებული — ურცხვი მოლაპარაკე; აკვარჩხალე — წყლის ადუღება; მესოფლია — სოფელში უსაქმოდ ყალი თავის შესაქცევად; დაბარძული — დაბალი ტანის მახინჯი კაცი) დადასტურებულია ქეგლ-ში და განმარტებაც ისეთივეა, როგორც ბზვანელს განუმარტავს 1900 წელს, მაგრამ ქეგლი მიუთითებს ილია ჭყონიას (ჭყონიამ ლექსიკონი 1910 წელს გამოსცა), ლადო ბზვანელის მასალა კი არ ჩანს.

6. სასურველია დოკუმენტური პირველწყაროს მასალა განმარტებითი ლექსიკონის II და დანარჩენი ტომების გამოსვლამდე ამ ლექსიკონებში შესწორებული სახით შევიდეს.

7. მოხსენებაში ვრცლად იქნება წარმოდგენილი ლადო ბზვანელის იმერეთში მოპოვებული სალექსიკონო მასალა.

რ უ ს უ დ ა ნ ს ა ლ ი ნ ა ძ ე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ფონეტიკურად შეპირობებული ფორმობრივ-სემანტიკური ვარიანტები ქართულში

1. ენის ნორმალიზაციის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოცილე ფორმათაგან ერთ-ერთს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, აუცილებელია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპის გათვალისწინება. იგი მოქმედებს ენის სისტემის ყველა რგოლში, ნებისმიერ (ფონეტიკურ, მორფოლოგიურ...) დონეზე და ხელს უწყობს ენობრივ ერთეულთა წარმოქმნა-დამკვიდრებას.

2. ფორმობრივ-სემანტიკური ვარიანტების გაჩენის ერთ-ერთი მოტივაცია შეიძლება იყოს ფონეტიკური. ამა თუ იმ ფონეტიკური მოვლენის — ბგერის დაკარგვის, ჩართვის, შერწყმის, მეტათეზისის, სუბსტიტუციის... შედეგად ჩნდება პარარელური ფორმები, რომელთაგან ენა ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებს ერთ-ერთს და აკანონებს,

ხოლო ზოგჯერ ნორმის თვალსაზრისით მიუღებელ ფორმას კი არ უარყოფს, არამედ იყენებს ლექსიკის გასამდიდრებლად, ანიჭებს განსხვავებულ სემანტიკას და ამკვიდრებს ამოსავალი კანონზომიერი ფორმის გვერდით.

3. ფონეტიკურად არის შეპირობებული ისეთი ფუძეები, როგორცაა:

პატივებ/პატიებ: პატივებ>პატიებ. სულხან-საბას ლექსიკონში მოცემულია ამოსავალი ფორმა იპატივა = პატივი დაიდვა (საბა, 331). იგი შემონახულია იმერულში, ოღონდ განსხვავებული სემანტიკით, ნიშნავს დაცვას. მაგალითად: წიწილები ქორისგან ვერ იპატივა. ქეგლ-ის მიხედვით:

ა. აპატიებს — გრდმ. დანაშაულისთვის არ დასჯის. გთხოვთ მაპატიოთ! აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო. შდრ. იპატიებს, ეპატიება, პატიება, პატიებული, ნაპატიები, საპატიებელი, უპატიებელი (ქეგლ, 72);

ბ. აპატივებს იხ. გააპატივებს. შდრ. ნაპატივები (იქვე); გააპატივებს (აწმყო აპატივებს) — გრდმ. პატივს, სასუქს დააყრის, გაანოყირებს. ვენახს გ. შდრ. გაპატივება, გაპატივებული (ქეგლ, 148). არც ქეგლ-ში და არც ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არ არის გათვალისწინებული აპატივებს ზმნის სხვა მნიშვნელობა, რომელიც დასტურდება იმერულში: გაასუქებს, ბევრს აჭმევს: საქონელს აპატივებს; ნაპატივები (=ნასუქი) საქონელი;

ცივებ/ციებ: ცივებ>ციებ. ქეგლ-ის მიხედვით:

ა. გაცივება (<ცივი) — 1. სახელი გააცივებს, გაცივდება ზმნათა მოქმედებისა. 2. სასუნთქი მილების ლორწოვანი გარსების ანთებით ავად გახდომა; გაცივებული 1. რაც გაცივდა (მიშვნ.1), რაც გაუცივდათ. 2. ვინც გაცივდა (მნიშვნ. 2) (ქეგლ, 309);

ბ. გაციება (<ციება) — ქეგლ-ში დასტურდება მხოლოდ ზმნური ფორმის განმარტება (გაცივებს ზმნის წინ): გააცივებს — 1. ციების, მალარიის შეტევა მოუვლის. 2. გადატ. კანკალი აუტყდება (შისისაგან...), გააყრუოლებს... შდრ. გაციება (ქეგლ, 155).

ცივებ/ციებ ფუძეთა სემანტიკური გამიჯვნა ასახულია სასაუბრო ენაში გავრცელებულ გამოთქმებშიც: ერთი მხრივ არის: აცივებს და

აცხელებს = შიშით კანკალი აქვს ატეხილი (შდრ. ციება) (ქეგლ, 105); მეორე მხრივ: არც აცივებს, არც აცხელებს = ერთბაშად გადაწყვეტს (და შეასრულებს კიდევაც) რასმე (იქვე).

ზოგჯერ სასაუბრო ენასა და დიალექტებში -ებ სუფიქსის წინა ვ დაკარგულია, დარღვეულია ნორმა, რომლის მიხედვითაც უნდა იყოს:

გაციება — გა(ა)ციებს — გაციებული

გაცივება — გა(ა)ცივებს — გაცივებული (ქეგლ, 184);

ძიებ/ძებ: ძველ ქართულში იყო ძიებ ზმნური ფუძე: „რასა ეძიებ“ (ი. 4, 27); „რომელი ეძიებნ, პოის“ (მ. 7, 8). XI საუკუნიდან წერილობით ძეგლებში დასტურდება ძებ (ი ხმოვანდაკარგული ვარიანტი): „რომელი-იგი სესხსა მას ეძებნ“ (A-135, 5 რ, 6-7). ძებ არის გაბატონებული „ვეფხისტყაოსანში“, აგრეთვე მომდევნო ხანის ტექსტებშიც. როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, ცოცხალ მეტყველებაში ფონეტიკური ცვლილების შედეგად გაბატონდა ძებ ფუძე, რომელიც XI საუკუნიდან სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრდა (ზ. სარჯველაძე, 1984, 459). მოცემულ შემთხვევაში ახალი ფორმის გაჩენა ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა. იგი ერთხანს, ბუნებრივია, არსებობდა იმავე მნიშვნელობის ამოსავალი ფუძის პარალელურად, მაგრამ დროთა განმავლობაში ენამ მოახდინა ფორმათა სემანტიკური დიფერენცირება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ერთი მხრივ: ძიება — გამოძიება, მოძიება, ჩაძიება, აგრეთვე: მაძიებელი, გამოძიებელი, მოძიებელი, ჩამძიებელი; მეორე მხრივ: ძებნა — მოძებნა, დაძებნა, გამოძებნა, აგრეთვე: მძებნელი (შდრ., მაძებარი/მეძებარი), მომძებნელი, დამძებნელი, გამომძებნელი.

დღეს ძიებ ფუძეს სულ სხვა სემანტიკური ელფერი აქვს, თუმცა ქეგლ-ის მიხედვით ეძებს/ეძიებს ზმნათა შორის განსხვავება მკვეთრად გამოჩნული არ არის: ეძებს — გრდმ. 1. ცდილობს იპოვოს, მონახოს რამე, ვინმე, მიაგნოს რასმე, ვისმე... 2. იგივეა, რაც ეძიებს (მნიშვ. 2); ეძიებს — გრდმ. (წიგნ.) 1. იგივეა, რაც ეძებს (მნიშვ. 1). მიზეზს ე. 2. ცდილობს მოიპოვოს რამე, მიადწიოს რასმე... სახელს ეძიებს... (ქეგლ, 1990, 489).

ძველი ძიებ (<ძი[ვ]/ძე[ვ]) ამოსავალი მნიშვნელობით შემონახულია ქართული ენის დიალექტებში. მაგალითად: ძიობს — გრდუვ. იხ. იძიებს (ქეგლ, 1181). ძიობს დიალექტური ფორმა, ჩვენი აზრით, გა-

ჩენილი უნდა იყოს შედარებით მოგვიანებით, სწორედ ფორმათა სემანტიკური გამიჯვნისა და დამკვიდრების პროცესში. იმერულში დასტურდება ვეძიე (=ვეძებე), მო-ვეძიე (=მოვეძებნე)/და-ვეძიე (=და-ვეძებნე) — მო-ძიე (მო-ძებნე)/და-ძიე (=და-ძებნე) — მო-ძია (=მოძებნა)/და-ძია (=და-ძებნა); გურულში დაცულია საანალიზო ფუძის უძველესი ფორმა მოძევა (<ძე[ვ]). მისი სემანტიკა განსხვავებულია: ნიშნავს პოვნას: „ერთი რაცხა მოვიძიე და არ გეტყვი!“ (გ. შარაშ.). უძველესი ფუძე არის დაცული იმერულის მოძევა ფორმაშიც: არაფერი არ მომეძევა (არ მომეპოვება, არ მეშოვება, არ მოიძებნება). როგორც ჩანს, დიალექტებშიც გაჩნდა ტენდენცია ფორმობრივ-სემანტიკური დიფერენციაციისა. მოცემულ შემთხვევაში ეს მოხდა არა სისტემის იმავე რგოლში (დიალექტში), არამედ სხვა რგოლთან (სალიტერატურო ენასთან) მიმართებით;

4. ზოგჯერ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი ფონეტიკურთან ერთად შეიძლება იყოს მორფოლოგიურიც. ამის კარგი მაგალითია ო და უ ხმოვნების წინ I სუბიექტური ნიშნის ისტორია. ვ- პრეფიქსთან დაკავშირებული ნორმა განსხვავებულია V-IX საუკუნეთა წერილობით ძეგლებში. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში ო და უ ხმოვნებით დაწყებულ ზმნათა I-II სუბიექტურ პირთა ფორმები გამოჩნულია ხ-/ჰ- პრეფიქსებით, ამიტომ I სუბიექტური პირის ნიშანი ბაგისმიერ ბგერათა გვერდით არის ნული ანუ ნიშანი დაკარგულია ფონეტიკურ ნიადაგზე: მე უწყი, მე ოცნებობ (შდრ.: შენ ხუწყი, შენ ხოცნებობ)... IX საუკუნიდან, როცა ჰ- გაქრა ხმოვნების წინ, მოხდა აღნიშნულ პირთა ფორმების დამთხვევა: მე უწყი — შენ უწყი, მე ოცნებობ — შენ ოცნებობ... მორფოლოგიური პრინციპით აღდგა ვ- და ნორმად იქცა იმავე პოზიციაში, რომელშიც რამდენიმე საუკუნის წინათ ფონეტიკურ ნიადაგზე დაიკარგა იგი. მას შემდეგ ვ- ნორმა ო და უ ხმოვნებით დაწყებულ ზმნებში. მაშასადამე, ის, რაც დაიკარგა ფონეტიკურ ნიადაგზე, აღდგა მორფოლოგიური პრინციპით და ასე მოხდა ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია.

აღნიშნული პრინციპი ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაც არის.

მ ე დ ე ა ს ა დ ლ ი ა ნ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ლა-, ან-, ად-, ეს- ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზი სვანურში

თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-, ან-, ად-, ეს-**, ხოლო მეორეში — **ჟი, ჩუ, სგა, ქა** ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (**ლა-, ან-, ად-, ეს-**) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი (ვ. თოფურია, ალ. ონიანი).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ამ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი, რომელთაგანაც პირველი ორი წესი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას, ან მათ ქონება-უქონლობას (ალ. ონიანი). სწორედ ამ წესებიდან ამოსვლით შესაძლებელია როგორც ზმნისწინების, ისე პირის ნიშნების დისტრიბუციული დახასიათება, მაგრამ ვინაიდან პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ზმნისწინებზეც ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თანაც ზმნისწინთა ზოგი ალომორფი პირის გამომხატველადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, აქედან გამომდინარე, წინამდებარე მოხსენებაში, ალ. ონიანის მიერ შემუშავებულ ზოგად წესებზე დაყრდნობით, ზმნისწინთა დისტრიბუციულ ანალიზსაც წარმოვადგენთ, რის შედეგადაც ირკვევა, რომ საანალიზო ზმნისწინთა (**ლა-, ან-, ად-, ეს-**) ალომორფების განაწილების სურათი სვანურში დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას აქვს ადგილი თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ქართული დიალექტების დაჯგუფება S₂-ისა O₃-ის მორფონოლოგიურ ცვლილებათა მიხედვით

ა. შანიძემ 1920 წელს S₂-ისა O₃-ის {ჰ-} „საერთო ქართულის“ პროტოტიპულ სახედ მიიჩნია. ჩვენ ამ დებულებას ვემყარებით.

1920 წელსვე ა. შანიძემ სცადა ქართული დიალექტების კლასიფიკაცია {ჰ-} მორფემის ფონეტიკურ ცვლილებათა მიხედვით, კერძოდ, ქართული დიალექტები ჯერ გაყო ორ დიდ ჯგუფად: აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებად; შემდეგი დაყოფა კი მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში: (1) თუ S-ის ცვლილებებს მივიღებთ საკლასიფიკაციო ნიშნად, ქართლური დაუპირისპირდება ყველა დანარჩენს; (2) თუ პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშნის ხმარებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ხეცსურული დაუპირისპირდება ყველა დანარჩენს.

დასავლური დიალექტები იმით დაუპირისპირდა აღმოსავლურ დიალექტთა ჯგუფს, რომ მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის პრეფიქსის ხმარების საკითხი დასავლურ კილოებში სულ უბრალოდ არის გადაწყვეტილი: სხვადასხვა მიზეზის გამო აქ დაიკარგა ერთი პრეფიქსიც და მეორეც.

ამავე საკლასიფიკაციო ნიშნებით ჩვენ გამოვყოფთ დიალექტთა სამ ჯგუფს: პირველ ჯგუფში ერთიანდება ქართლური და კახური, მეორე ჯგუფში აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები და სამხრულ-დასავლური დიალექტები, მესამე ჯგუფში ფშაური და მთიულურ-გულდამაყრული.

ჩვენი კლასიფიკაცია {ჰ-}-ს მორფონოლოგიურ ცვლილებებს ემყარება.

ნ ა თ ე ლ ა ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე

(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მო- და შე- ზმნისწინთა ვარიანტები ჩვენებურების მეტყველებაში

მო- და **შე-** ზმნისწინები ჩვენებურთა მეტყველებაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ისინი თითქმის ყველა შესაძლო ფორმით დასტურდება. **მო-** ზმნისწინის დიალექტური ვარიანტებია **მა-, მე-, მი-, მუ-. შე-** ზმნისწინისა კი — **შა-, შუ-, ში- და შო-**. ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ რომელი ზმნისწინია პირველადი, ენათმეცნიერთა შორის ნაირგვარი შეხედულება არსებობს. კერძოდ: კ. გაბუნია აღნიშნავს, რომ ქართული ენისათვის არ უნდა იყოს დაუშვებელი **მა→მო-** გადასვლა და არ გამოირიცხავს, რომ **მო-** ზმნისწინისეული **ო'** შეიძლება მიღებული იყოს წინამავალი სონანტის მიერ ასიმილაციით [კ. გაბუნია, ზმნისსართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993, 47].

მა- ზმნისწინის **მო-** ში გადასვლა, — დასძენს კ. გაბუნია, — საკმაოდ ძველი პროცესი უნდა იყოს, რადგან ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ლიტერატურულ ძეგლებში **მო-** ზმნისწინი ფიქსირდება. ასეთივე დასკვნამდე მივიდა ა. მარტიროსოვი [ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მისი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში, იკე, ტ.5, თბ., 1953, 82].

გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლის ზოგადი კანონზომიერებისა და **მა-** და **შა-** ვარიანტთა გავრცელების არეალის გათვალისწინება, მართალია, მხარს უჭერს ახმოვნიანი ვარიანტების პირველადობას (**მა→მო-; შა→შე**), მაგრამ ძნელი გასაზიარებელია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ **ა'** ხმოვანი ვარიანტები თანამედროვე დიალექტებში მეორეულია — ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული (**მო→მა-; შე→შა**).

ავტორის თქმით, „უნდა დაგუშვათ: უძველეს ქართულში დიალექტთა ერთ ჯგუფში (ან ერთ დიალექტში) ქართული ენის აღმოსავლურ (ან ჩრდილო-აღმოსავლურ) არეალში გვქონდა **მა-** და **შა-** ვარიანტები; დიალექტთა მეორე ჯგუფში (ან მეორე დიალექტში), სა-

გარაუდოა სამხრულ-დასავლურ (შეიძლება აღმოსავლეთის ბარშიც) არეალში მოხდა **მა→მო-; შა→შე** პროცესი. შესაბამისად იყო ორი დიალექტური წრე **მა-/შა-** და **მო-/შე-** ვარიანტებით. სალიტერატურო ენა დამყარა იმ დიალექტს (თუ დიალექტთა წრეს), სადაც მეორეული ვარიანტი იყო“ [გ. გოგოლაშვილი, მო- და შე- ზმნისწინთა ახმოვნიანი ვარიანტების თაობაზე ქართულში — ბ.ჯორბენაძის საზოგადოების V სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1998, 12-13].

ასევე, **მა-, შა-** ვარიანტების პირველადობას უჭერენ მხარს: დეტერსი [G.Deeters, das khartvelische verbum, Leipzig, 1931, 10-11], თ. გამყრელიძე, [სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, 56] და სხვ.

განსხვავებული შეხედულება აქვთ თ. უთურგაიძეს, [ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, 15], არნ. ჩიქობავას [ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, №7, თბ., 1927, 210], გ. ცოცანიძეს [პრევერბების, შე- და შა- დიალექტური ვარიანტების ისტორიული შემადგენლობის საკითხები, მაცნე, 1976, №1, 123-124], ი. ვეშაბიძეს [ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967, 88], შ.ძიძიგურს [დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1952, 108], თ. ლორთქიფანიძეს [მი- და მო- ზმნისწინთა ფუნქციურ — სემანტიკური ანალიზი ქვემო იმერულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VIII, 1998, 20] და სხვ.

ერთი რამ ფაქტია, რომ თუ **მო-** ზმნისწინისთვის ამოსავალი **მა-** ფორმაა, გადასვლა საკმაოდ დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო, რადგან ჩვენამდე მოღწეულ უძველეს წერილობით ძეგლებში უკვე **მო-** ზმნისწინია დამკვიდრებული [ნ. ფარტენაძე, ზმნისწინი საშუალ ქართულში, ბათუმი, 2009, 41].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენებურების მეტყველებაში **მო-** და **შე-** ზმნისწინთა ყველა შესაძლო ვარიანტი დასტურდება. კერძოდ:

მე-: მე-იკითხავ და ვინცხაი დაქსდებანო (შ. ფუტკარაძე, ჩვენებ.ქართ, 23); სახლში **მე-ინდის** ქულ..(იქვე, 26); ამხანაგი **მე-იყვანაო** (იქვე, 32); გავალ **მე-გხვენეფ** და მემრე წამუალ (იქვე, 32); ხელი წაატანა **მე-მეციო** (იქვე, 33); იტყვიან სიმძიმე **მე-გემატებაო** (იქვე, 34); თუ არ **მე-ინმარიეფ**, რათ გინდა? (იქვე, 34); ამისისხუანი ბაღვები რა დროს **მე-გესტრაო** (იქვე, 44); **მე-გტანთ** სახლის ოზოში (იქვე, 46); უმული **მე-იწყვი-**

ტონა ავატყოფიდან (იქვე,47); კართან ფეხი **მე-იკეცაო**(იქვე,48); ჩუენი ნაზოი პაპომნიკელშუქრიამა **მე-იბარაო** (იქვე,61); სალამოს **მე-იყუანა** თხები (იქვე,66); მუხლები **მე-იკაკვის**, წელი **მე-იკაკვის...** (იქვე,71); იმან-ნა **მე-მენმაროს** (იქვე,88); ხოჯამაც მი-იხედა-**მე-იხედა** (იქვე,112); ერთ ქუფელი **მე-მეცი** (იქვე,115)...

მუ- მენგენებით **მუ-უჭირეფ**, წამუა წვენი...(იქვე,21); ზამთარი **მუ-ახლოებიან** კიდვენ დაზელ (იქვე,22); ჰერალდა აღრე **მუ-უკდა** კაცი (იქვე,29); ის **მუ-უბამს** ხეზე (იქვე,33); მარტის ნაცარ **მუ-აყრიან** თესველობაზეტკაი ტაროსი თუ არი, **მუ-ასწრობთ** დათესვას (იქვე,34);

ვის **მუ-უყვანია**, აბლი? (იქვე,34);ათავდება სამი იუნა, კიდვენ **მუ-აყარონა** (იქვე,37); **მუ-უცადეს** გათენებას (იქვე,39); რაცხა **მუ-უნდება** (იქვე,40); ტირილი **მუ-უნტება** (იქვე,40); ბურსაში **მუ-უცემიან** სოფლები (იქვე,42); ღმერთ **მუ-უცემია** შვილები (იქვე,47); ყველამფერი ჩაყარეს ქვაბში, **მუ-ადულეს** და ჭამეს (იქვე,59); ხალობა **მუ-არუნე** და აქამდე **მუ-ელით** (106); რამდენჯელ მივალ- **მუ-ალ** (იქვე,107)...

ჩვენებურების მეტყველებაში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება **მა-** ზმნისწინიანი ფორმები, რომელიც უცხოა სამხრულ-დასავლური დიალექტებისთვის. ეს მოვლენა შეიძლება პოლოტიკურ — ეკონომიკური ფაქტორითაც აიხსნას.

მა- ღირთამდი გავადებთ...**მა-გასტრობენ** ქალები (იქვე,36); **მა-გარიგებთ** ახლა...(იქვე,89).

შა- ზმნისწინი **მა-** ზმნისწინისაგან განსხვავებით აქტიურია და ეს ასეც იყო მოსალოდნელი

შა- როის **შა-გემისან** საპაიჯო? (იქვე,23); წყალ **შა-ვაშხეფეფ...** (იქვე,27); ამა მემრე **შა-არაიგეს** ათ წელკან (იქვე,61); არ **შა-არაცხვი-ნოს** იმ ღუნის (იქვე,101); **შა-მაცევა**, დამახურევი-მეთქი (იქვე,103); ხარებ დილაზე გავადლობდი და **შა-ვაბემდი** (იქვე,104)...

საინტერესოა რთული **შემო-** ზმნისწინის ნაირსახეობა, რომლის მეორე ნაწილში **მო-** ზმნისწინის ყველა შესაძლო ვარიანტი დასტურდება: ჰარამს სახლში არ **შამე-იტანს** (იქვე,87); **შამე-ვიარეთ** ია? (იქვე,89); თუალები ტკივილი **შამო-მეჩვია** (იქვე,89); ხანდესან ძალიან **შამო-მენხოვა** ფეხებზე (იქვე,89); **შამე-იყუანდენ** სახლში (იქვე,93); **შამო-უთვალა** ისტამბულ გამომსლელებსა(იქვე,105)...

ში- კატამ ცეცხლი დეინახა, **ში-ეშინდა** (იქვე,26); ამელამ თქუენ სახლში **ში-მიყვადიო** (იქვე,30);

ში-მიყუარდა ყველაი (იქვე,58); მემრე დედოფალთან **ში-აგ-დებდენ** სიძეს (იქვე,93); ქალ-ბაღვს **ში-მიწუნებენ** (იქვე,98); ამა ზეთ ბევრი არ **ში-მიხედავს** (იქვე,105)...

შუ- აფხაზსა **შუ-უნხედია** (იქვე,64); ერთი-ორი კარი ვერ **შუ-უკიდაო** (იქვე,64); კარგათ **შუ-უნხედავს** (იქვე,95); დეილა დედემ და **შუ-უთვალა** მემლექეთში (იქვე,98); ჩიტი **შუ-უგდიან** ალთუნის ყეფეში (იქვე,100); გონჯი თუალით არ **შუ-უნხედვან** (იქვე,101)...

საინტერესოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ **შე-** ზმნისწინის **შო-** ვარიანტი, რომელიც აქტიურია სამხრულ — დასავლურ დიალექტებში ჩვენებურების მეტყველებაში თითქმის არ დასტურდება.

თუკი ვთვლით რომ **მა-ამო-**; **შა-შე**, **მე-**, **მუ-**, **მი-**,**ში-**,**შუ-** ზმნისწინები აშკარა ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმოქმნილი, რადგან ხმოვანი ელემენტები ე,'უ,'ი', 'ა' ვარიანტისაგან განსხვავებით დიალექტის კუთვნილებაა. **მო-** და **შე-** ზმნისწინიან ფორმათა ასეთი მრავალფეროვნება კი მუჭაჭირთა მეტყველების თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

მ ე რ ი ც ი ნ ც ა ძ ე

(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ექსპედიცია შავშეთში

1. ექსპედიცია მოეწყო პროექტების - „შავშეთი“ და „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ (რუსთაველის ფონდი) ფარგლებში. ვიმუშავეთ შავშეთის 22 ქართულად მოლაპარაკე სოფელში. ჩავიწერეთ დაახლოებით 40 სთ-ის ოდენობის ვიდეო და აუდიომასალა სხვადასხვა ასაკის, სქესისა და განათლების მქონე პირთაგან.

ხაზგასასმელია, რომ ადგილთა ქართული დასახელებანი — ოიკონიმია და მიკროტოპონიმია — დღესაც ცოცხალი და მოქმედი.

შავშეთის სოფლები გეოგრაფიულად მაღალმთიან ზოლშია განფენილი, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ შიდამიგრაციულ და ურბანიზაციულ პროცესებს. ზამთრობით სოფელში საცხოვრებლად სულ რამდენიმე კომლი რჩება, უმრავლესობა კი თურქეთის სხვადასხვა რაიონში (ბურსა, ინეგოლი, სტამბოლი, ანკარა, რიზე და ა.შ.) არის ოჯახებით მიმოფანტული. სოფელი ცოცხლდება გაზაფხულზე და ზაფხულში. ეს თავყრილობა დიდად უწყობს ხელს ქართული გენისა და მეტყველების შენარჩუნებას.

თაობათაშორისი განსხვავების ფაქტორი ცხადლივ არის ასახული დიალექტური მეტყველების ფლობის ხარისხზე, რაშიც ხშირად ვრწმუნდებოდით ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის წევრთა მეტყველების მაგალითზე.

მწვავედ დგას ახალ თაობაში მშობლიური ენის გადაცემის საკითხი. პრაგმატული მოსაზრებით, სასკოლო ასაკამდე ბავშვებს მხოლოდ თურქულად ელაპარაკებიან.

2. შავშეთი მეტყველება ინტონაციურად, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებებით ახლოს დგას ზემოაჭარულთან და მესხურთან. შეიძლება ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში შავშეთში წარმოდგენილია ფონეტიკური პროცესის წინა საფეხური, რომელიც აჭარულში დასრულებულია. ეს განსაკუთრებით ითქმის ზმნისწინის და მომდევნო ხმოვანი პრეფიქსების ურთიერთქმედების პროცესებზე: **გოულამაზდა, ჩემივარდა, დემიჭირეს, გემივლია...** შდრ. აჭარული: გულამაზდა, ჩემივარდა, დემიჭირეს, გემივლია.

აქ მისაღმების ფორმულაა — **რაგვარ ხარ**. შდრ. ამ გამოთქმის ფონეტიკურად შეცვლილი სახე სალიტ. ენაში — **როგორ ხარ** და აჭარულში — **რაგარ ხარ**. აქ დასტურდება **შიგან**, აჭარულში — **შიან**.

ყურადღებას იქცევს პირის ნიშნის მეტათეზირება ფუძისეული თანხმონის შემდეგ: **ჭვამთ, ხვედავ**. მეტათეზისის სხვა შემთხვევებია: **გერმელი, ვრა...**

შავშეთის მეტყველებაში შემონახულია სავარაუდოდ საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელი ბევრი ლექსიკური ერთეული და

სიტყვაწარმოების ნიმუში: **ხვლივი** (ხვლიკი), **დღივ** (დღისით), **მარტივ** (მარტო), **საუზმარი** (საუზმე), **კალი** (კალია), **მელი** (მელა).

საკუთრივ დიალექტური ჩანს: **სათ(ვ)ლელი** (ფულის მნიშვნელობით), **მეშველაი** (ხვლიკის ნაირსახეობა), ნაწილაკი **წვე**.

თემატური ლექსიკიდან ყურადღებას იქცევს მემინდვრობისა და მეხილეობის, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, კულინარიის ამსახველი სიტყვები და ტერმინები. ხშირად მათ ეძებნებათ პარალელები სხვა ქართულ კილოებში. მაგ.: **პურის ჩასხმა, ძროხა ხბოს იქმს (ქნა), მერცხალი** (მოცხარი), **ტიტვირი** (ტუჩი), **განათლება** (განათება)...

3. რაც შეეხება ინტერფერენციულ მოვლენებს, თურქული ენის ინტერფერენციული ჩარევა განსაკუთრებით თვალში საცემია სინტაქსის სფეროში, ასე მაგალითად, თურქული კითხვითი კონსტრუქციის ანალოგიით, დიალექტში კითხვითი წინადადების ბოლოს ჩვეულებრივია თურქული კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკების **ქი (ki), ია (ya), მი (mi)** დართვა.

აღსანიშნავია, რომ თურქული კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკი **ია (ya)** ხშირად დაერთვის **არი** (არის) მეშველ ზმნას — **არ'ია (var ya-ს ანალოგიით)**. ინტერფერენცია თავს იჩენს ფრაზეოლოგიურ კალკებში, სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-შევიწროებაში.

ელზა ფუტკარაძე

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ხატოვანი სიტყვა-თქმანი აჭარულის დარგობრივი ლექსიკიდან

ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველება მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგზის გამახვილებულა ყურადღება სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ნაკლებადაა შესწავლილი ქართული ენის დიალექტების მიხედვით. დიალექტებს კი, დიალექტის სამეურნეო თუ ყოფითი დარგის ამსახველ

ლექსიკას უამრავი საინტერესო ხატოვანი სიტყვა-თქმა დაუცავს. ეს სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება-გამრავალფეროვნების წყაროა. ამასთანავე, დიალექტური მონაცემების გათვალისწინება აუცილებელია არა მხოლოდ ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დასადგენად, არამედ ისტორიული განვითარების პროცესში ენაში მიმდინარე მოქმედ ცვლილებათა წარმოსაჩენად.

ცნობილია, რომ თანდათან იშლება და დავიწყებას ეძლევა დრო-მოკმული და საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები. ხშირად სიტყვები ისე გამოდის ხმარებიდან, რომ კვალს არ ტოვებს, მაგრამ ზოგჯერ რჩება მყარი გამოთქმები, რომლებიც ინახავს ასეთ სიტყვებს. ბუნებრივია, საშურია მათი აღნუსხვა და მეცნიერული სისტემატიზაცია.

დიალექტისათვის სპეციფიკური ხატოვანი სიტყვა-თქმები არა მხოლოდ ენის სიტყვიერი ფონდის გამდიდრების საფუძველია, არამედ ისინი ენის სახეობრიობაცაა. ხატოვანი შესიტყვების ფორმა ექსპრესიული ფუნქციის მატარებელიცაა. გარდა თავისებური შინაარსისა, მხატვრული დახვეწილობით გამოირჩევიან და განსხვავდებიან ენაში თავისუფალი შესიტყვებისაგან.

ამოუწურავია ქართულ კილო-თქმათა ლექსიკის ის მარაგი, რაც ჯერ კიდევ ხალხის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში მკვიდრობს. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გაქვავებული თუ მყარი სიტყვათა შეხებანი, რომლებიც სპეციფიკურია აჭარული დიალექტისათვის. კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია შემინდვრობა-მეზოსტნეობის ლექსიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხატოვანი სიტყვა-თქმა: **ანგელოზის თითის ჩამონასვამი, დოდოფლის ფხალი/დოდოფლა ფხალი, კოტაზე ცხვირის მოხოცვა, მელაიქის ალოკილი, ნათესის დაჩორჩხვა, პირის აჭრა, შემთვარვა/შენთვარვა, წვერმოჭედილი ტარო...**

ბუნებრივია, წარმოდგენილი მასალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, თუმცა ადასტურებს თუ როგორ ხატოვნად და ზედმიწევნითაა ასახული ხალხის გონებრივი და სულიერი ცხოვრების გამოცდილება ამ სიტყვა-თქმებში.

შ უ შ ა ნ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

(ბათუმი. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თანდებულებთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხეულში

თანდებული ენის უძველესი ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი გამორჩეული შემადგენელი ნაწილია. თანდებულები, როგორც ცნობილია, მომდინარეობენ ცალკე, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათაგან. ისინი ისტორიულად სახელს რომ მიეკედლნენ, დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგეს, მაგრამ დიდი გავლენა მოახდინეს სახელთა ბრუნების სისტემაზე, ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად მიმდინარე პროცესებზე. წინარე ისტორიულ ხანაში წარმოჩენილი აღნიშნული ენობრივი პროცესები დღესაც მიმდინარეობს და ემსახურება ჩვენი დედაენის განვითარება-სრულყოფის საქმეს.

თანდებული ქართული ენის უძველესი ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მტკიცე, შეუვალი ენობრივი ერთეული რომ არის, ეს კარგად ჩანს დედაენის დამაქვემდებარებელ გავლენას მოკლებულ, უცხო ენობრივ გარემოცვაში მყოფ იმერხეულ კილოზე დაკვირვებისას. თანდებულებმა, ზმნებთან ერთად, ყველაზე მეტად შეინარჩუნეს თავისთავალობა, დედაენის ბუნება-ფორმაცა და შინაარსიც. თანდებულებში ნაკლებად იგრძნობა უცხო (თურქული) ენის გავლენა.

იმერხეულ კილოს ნაირფეროვანი თავისებურებებით წარმოაჩენს თანდებულები. გვხვდება თანდებულების როგორც არქაული, ისე დიალექტური ფორმები.

თანდებული -**ში** ხშირად გვხვდება ძველი ფორმით – **შიგან**; იგი ცალკე მდგომია, ფუძეს არ ერთვის: არაბა **შიგან** ამჟღავნა (არაბაში-მანქანაში); ინეგოლს **შიგან** ხარა? (ინეგოლში); ველ **შიგან** რამე არ დარჩომია (ხელში)... ზოგჯერ თანდებული-**შიგან** ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: ნენეი დამყდარა ბოსტნი **შიგან**; სოფლის **შიგან** ჭრელია ხალხი; კაკლის **შიგან** მატლი გაჩენილა; ისტანბოლი **შიგან** გურჯი ბეურია... რო-

გორც ცნობილია, ძველ ქართულში არის შემთხვევები **შინა//შიგან** თანდებულის ნათესაობითის ბრუნვასთან ხმარებისა (არ.მარტიროსოვი, ივ.იმნაიშვილი). იმერხეული დღემდე ინარჩუნებს არქაულ ვითარებას (შდრ. შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა **შიგან**).

ხშირად, შინაარსის ზედმიწევნით გადმოცემის მიზნით, **ში**-თანდებულიან სახელსაც კი ერთვის ხოლმე უძველესი თანდებული – **შიგან**: ფურები **შიგან ახორში** (ბოსელში) შეყარეს; ჭარხლის კლავებსა მოვთუთქავთ **წყალში შიგან**; **შიგან სახლში** შეიყვანონ მოსაფირი (სტუმარი); **მილეთში შიგან** (ხალხში) კაი და გინჯი ერთი შეხედვით არ მიიჭლომება; **კლდეში შიგან** ხაჩია (ჯვარია)... როგორც ჩანს **შიგან** ხან სახელს წინ უძღვის, ხანაც მოსდევს ხოლმე.

ზე-თანდებულიანი სიტყვებით გამოხატულ შინაარსს აძლიერებს **ზედამ**, რომელიც ძველი ქართულის **ზედა**-თანდებულის ვარიანტია. როგორც ცნობილია, საშუალ ქართულში, თუ ერთი მხრით, **ზედა**-თანდებული გამარტივდა და **ზე**-მდის დავიდა, მეორე მხრით, მას ბოლოში დაერთო **ნ**- ელემენტი (←ნა) და მივიღეთ **ზედან**. იმერხეულში გვხვდება **ზედამ**-სახით: **კაცზე ზედამ** შემხტარა დათვი; **საფლავზე ზედამ** გაკეთებულია ღობე; **კეცზე ზედამ** ცეცხლი იქნებოდა... მაშასადამე, იმერხეულში არსებული სახელების **ში-შიგან**, **ზე-ზედამ** ორთანდებულიანი ფორმები საინტერესო, დამაფიქრებელ ლინგვისტურ სურათს ქმნის და მიგვანიშნებს სვანურსა და ხევსურულში არსებულ მსგავს მოვლენებზე. როგორც ცნობილია, სვანური, მეგრულ-ჭანურისა და თვით ქართულისაგან განსხვავებით, ზოგიერთი კავკასიური ენის მსგავსად, იყენებს ორ თანდებულს ერთად. მსგავს მოვლენას ვხვდებით ხევსურულშიც (ვ.თოფურია, არ.მარტიროსოვი). ორთანდებულიანი მიცემითის ფორმები გვაფიქრებინებს, რომ ფუძეგამარტივებულ **ში** და **ზე** თანდებულებს ჯერ კიდევ არ შესწევთ ძალა დამოუკიდებლად გადმოსცენ საგნის ან მოვლენის სადაობითობა და დასახმარებლად იშველიებენ ძველ ფორმებს–**შიგან** და **ზედამ**. **ზედან**-თანდებულს ვხვდებით საშუალ ქართულსა და თანამედროვე მესხურ კილოში (შ.ძიძიგური, არ.მარტიროსოვი).

ზე-თანდებულიანი სიტყვები – **ალაგზე, ადგილზე** - ენაცვლება თანამედროვე ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან გამოყენებულ თანდებულებს – **ნაცვლად, მაგივრად, მაგიერ**: შენ რაი ხარ ჩემ **შუილის ალაგზე?**; **ყუმაშის ადგილზე** მოქსოვდენ ბამბითა; **დედის ადგილზე** ვუყურავთ დედინაცუალსა; **შუილის ადგილზე** სხტა კაცი ვერ გოუტანია... ნაცვალსახელებთან კი **მაგივრად, ნაცვლად** თანდებულებს ენაცვლება სიტყვა – ბარზე: **ჩემ ბარზე** ის წეიყვანეს; **მის ბარზე** იუსუფი მოკლეს; **შენ ბარზე** ვერ წავალო, მითხრა...

ზე-თანდებულიანმა სიტყვამ შეიძლება გადმოგვცეს **თვის**-თანდებულიანის შინაარსი: გურჯიჯა (ქართულ) **სიმღერებზე** მაქ ჩონგური მოწყობილი; **შენზე** ადგილი ქონდა გარიგებულ ჰოტელში... **ზე**-თანდებული შეიძლება შეენაცვლოს **ში**-თანდებულსაც: აქვერებმა **კითხვაზე** ფარა უნდა ეიღონ; წერილების **წერაზე** დაღამებია... **ზე**-თანდებულს იმერხეულში ვხვდებით, აგრეთვე, **შესახებ**-თანდებულის ნაცვლად: **ხატოზე** გონჯსა ვერ იტყუიან; **ჭუქუმათზე** ყულამდევრ ამბობენ...

ვით-თანდებული ჩვეულებრივ, გვხვდება თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითში: ისა **საქონელივით** კაცია; დათვი **კაცივით** დავა (დაღის)... მიცემითსა და ნათესაობითში კი სახეშეცვლილი, დიალექტური ფორმებით წარმოჩნდება ხოლმე–**ვეთ, ვენ, ვეფ**. ხმოვანფუძიანები უმეტესად მიცემითი ბრუნვის ფორმაზე ირთავენ ამ თანდებულებს, თანხმოვანფუძიანებს კი ორივე ბრუნვის ფორმაზე ერთვიან: ჳმიადი **კინასავეთ** გამჭდარა; ჳაფი (ძაფი) **საწინდესავენ** დაართა უნდა; მამინაცუალი **ბაბასავეფ** მიყურებდა; გობმაწონაი **მაწონსავეთ** შედგება... ჯეჯიმი დაგებულია **ხალისავეთ** (ხალი-ნოხი); კამბეჩი **ვარისავენ** გაწევს უღელსა; ქორი (საბძელი) **სახლისავეფ** მუუწყია კაცსა; თხის ბანალი **მატელისავენ** დეირთვება...

თანდებული–**თვის** გვხვდება დიალექტური ვარიანტებით–**თუინ//თვის**. თანდებულის დართვისას ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი უმეტესად იკარგება: ყორანგალი (ბალახია) მარგებელია **საქონლითუინ**; **ქართუელებისთუინ** დამწუარი კაცი იყო; უკითხავან (უკითხავთ) **ერთისთვის**; თქუნენ ნათესებსა (ნათესავებსა) **რითუინ** არ

ზეფნითა? (ექებთ); ქორები **თივითვინ** გუაქ... **თვინ** გვხვდება ბევრ ქართულ კილოში, **თუინ** კი მომდინარეობს ძველი ქართულიდან. **თვინ//თუინ თვის**—თანდებულის უძველესი ფორმა და ამდენად მისი ღირებულება დიალექტოლოგიის ფარგლებს სცილდება (ვ.თოფურია).

თვის—თანდებულის ფუნქციით ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან ზოგჯერ წარმოდგენილია სიტყვები—**გულობაი, ბარობაი: კაცის გულობაი** არ ღირს ამდენეთი ტირილი; კევრზე ქვებსა **იმი ბარობაი** (იმისთვის) გუუყეებთ...

თანდებულის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები — **გულობაი, ბარობაი, ბარზე** უმეტესად ენაცვლება **გამო**—თანდებულს: ღარჭი (ბავშვი) ჩტილი მყავდა და **იმი ბარზე** (იმის გამო) ვერ წავველ ბურსას; ვერ გამოვდივართ გარეთა ზამთარში დიდი **თოვლი ბარობაი; ტყის გულობაი** (ტყის გამო) დგებიან იმ სოფელში; ბაბამ კაცი მოკლა და **იმი ბარობაი** დეიკარქა; **ჩემ გულობაი** ნენეს უყვირა ბაბამა...

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გამო—თანდებულის დიალექტური ვარიანტი — **გამეეს: რზლები გამეეს** (რძლების გამო) ზმიები (ძმები) არ არიან ერთმანეთში კარქა; **ზუღლიას გამეეს** კაცი მეიკლა; **ჩემ გამეეს** შენ რატომ გიყვირიან?...

ზემოაჭარულის მსგავსად, იმერხელში **გამო**—თანდებულს ხშირად ენაცვლება **გამოდმა: მიწის გამოდმა** მეზობლები არ ლაპარაკობენ; **წყლის გამოდმა** აწყინეს ერთმანეთსა... ამავე მნიშვნელობისაა სიტყვა—**მგონე: ღარქები მგონე** (ბავშვების გამო) წალაპარიკდენ; ჩემი **დერდები მგონე** (ღარდების გამო) სიმღერები მეგგონე; **ავატყოფობი მგონე** (ავადმყოფობის გამო) დავრჩით ხოფას...

ზმნისართული თანდებული — **უკან** დაერთვის მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს და ენაცვლება დროის გამომხატველ სიტყვას—**შემდეგ: ნახევარ თვეს უკან** ლამაზი ტაროსი იქნება; დათვმა დაქოლა **სადილ უკან; ამის უკან** დარჩა ეს ნათქვამი; **მარტის უკან** აპრილი მოდის... მსგავსი ვითარებაა ზემოაჭარულშიც.

მიხედვით — თანდებულის მაგივრად იმერხელში დამკვიდრებულა თურქული თანდებული **göre** (თანახმად, მიხედვით, შესაბამისად): **საბნი-**

გორა უნდა გაშალო ფეკები; **სიზმრიდაგორა** (სიზმრისდამიხედვით) გათჯარა მიწა; თავისი **გულიგორა** მიცეს ღმერთმა ყუელასა...

იმერხელში **გან**—თანდებული თითქმის არ გამოიყენება. იშვიათად აქაურთა მეტყველებაში წარმოჩნდება **კან**—ფორმით (გან—ის გამკვეთრების შედეგად სათანადო ფონეტიკურ გარემოში): **სიცვისკან** ველები დუუსკდა; **სიცვისკან** ყვერები გაწმა... ანალოგიური ცვლილება შენიშნულია ხევსურულში (არ.მარტიროსოვი).

იმერხელში **გან**—თანდებულიან ნათესაობითს ენაცვლება **დამ** — თანდებულიანი ფორმები: კეცსა **თივიდამ** აკეთებენ; **ცაცხუიდამ** გამოთლიან ვერტალსა და მოჭუეწენ; ზურნა კეთდება ქლიავი **ხიდამ**; ეს ბაჯალა (გოგონა) წინა **კაციდამ** მყავს; **სიზიდამ** (სიძისგან) გამოგზავნილი ჰედიე (საჩუქარი) მომიტანეს... აღნიშნული ფორმები შინაარსობრივად აღნიშნავს წყაროს, ვისგან ან რისგანაც ზმნით გამოხატული მოქმედება მომდინარეობს, ანდა მიგვანიშნებს მასალაზე, რისგანაც რაიმე კეთდება.

იმერხელისათვის დამახასიათებელია **დალმა//დალმე**—საგან მომდინარე თანდებული — **დამ** (ა.შანიძე, არნ. ჩიქობავა). **დამ**—თანდებულიანი მოქმედებითის ფორმები აღნიშნავს მოქმედების საწყის ადგილს: ეს წყალი **ფაფართიდამ** მოდის; აჭარის **თიებიდამ** (მთებიდან) გადმოდიოდა გზაბაწრები; სომეხები აქა **ანიდამ** მოსულან; მანები (ბოძები) მეიტანა **ტყიდამ**...

დამ — თანდებული ერთვის ზმნიზედებსაც: იმის **აქეთიდამ** შოლტივევია; დაჩიეთი **აქედამ** ახლო არი; ჭოროხი **შორიდამ** მოდის; **სიდამ** იპუეთ ნათესავები?; არ მეტყვება **გარედამა; ზემოდამ** ვუყურავთ აჭარასა...

დამ—თანდებული დასტურდება იმერხევის მოსაზღვრედ მდებარე ზემოაჭარის სოფლების მეტყველებაშიც; გვხვდება ქართული დიალექტების ერთ ნაწილში (შ. ნიჟარაძე, არ. მარტიროსოვი, შ.ძიძიგური, გრ.იმნაიშვილი). **დამ**—თანდებულიანი ფორმები იმერხევი 1904 წელს ჩაიწერა ნ.მარმა.

დამ—თანდებულის ფუნქციით იმერხელში გამოიყენება სიტყვა — **მოდმა: გაზაფხულიმოდმა** ამას ვეკვეწები; **დილამოდმა** ამას ვამბობ...

იმერხელში თანდებული –**ურთ** არ გვხვდება. მის ფუნქციას ასრულებს უთანდებლო მოქმედებითი. იშვიათად გვხვდება **ურთ**–თანდებულის ნაშთი (ურ): ამ ბალახსა **ფესვითურა** შეინავევენ; ჭარხალასა **ტანი-თურა** მოვარშავენ...

მდე/მდის თანდებულები, სხვა ქართული დიალექტების მსგავსად, გვხვდება **მდი/მდინ**–სახით: **თველამდი** აქა იყუნენ; **სახლამდინ** ვერ მიაწია... **მდი**–თანდებულის დართვას გარკვეული თავისებურება ახასიათებს: ხმოვანფუძიან სახელს რომ დაერთვის, ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მეორდება: **თამდი** (მთამდე) ასულა გზა; მალლა **გორამდი** ავაწიეთ; დაბა **დელეემდი** მიდის ჩუენი ჭალა; კაკლი **ხეემდი** მოვთიბე... მსგავსი ფორმები შენიშნულია იმერულშიც და მიჩნეულია ფონეტიკურ მოვლენად (შ.ძიძიგური).

გვხვდება **მდინ**–ფორმაც: **მაისამდინ** მიგვაწია პურმა; გზა ჩემ **ეზომდინ** მივა; ჩუენი გუარის კაცები **ფარიზამდინ** (პარიზამდე) გევენ... ენათმეცნიერთა აზრით, **თვინ** და **მდინ** უძველესი ფორმებია (ა.შანიძე, ვ.თოფურია).

იმერხელის თანდებულის ფორმებზე დაკვირვება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ქართული ენის სიმტკიცესა და გამძლეობაზე.

ნ ი ნ ო ფ ხ ა კ ა ძ ე

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

სემანტიკური დიალექტიზმი

ენის ლექსიკური ფონდი საინტერესოა ერთეულთა ფუნქციონალური და სემანტიკური შესაძლებლობების რეალიზების თვალსაზრისით. ლექსიკა ყველაზე სწრაფად ცვალებადია უბანია ენისა, რაც განპირობებულია მისი უშუალო კავშირით გარეგნობრივ სინამდვილესთან. ამ უკანასკნელის ცვლასთან ერთად ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარიც გადასხვაფერდება, თუმცა ასეთი ცვლილებები თვით სისტემას არ გარდაქმნის.

ენაში განიხილვა განსხვავებული ლექსიკური შრეები, რომელთა წყაროა როგორც ენის განვითარების ისტორიული (ქრონოლოგიური) საფეხურები, ისე მისი გეოგრაფიული და სოციალური განშტოებანი (ქვესისტემები).

საერთო-სალიტერატურო ენა ენობრივი ერთეულების დამოკიდებულებათა ცენტრალური სისტემაა. მასში თავს იყრის ქვესისტემებსა და „ველებში“ რეალიზებული ცვლილებების შედეგები, ან პირიქით, ნაწილდება საერთო ენისეული პოტენცია. ამ უკანასკნელის შედეგია სემანტიკური დიალექტიზმი.

სიტყვის სრულყოფილი სემანტიკური დახასიათებისათვის საგნობრივი მიმართების ქრონოლოგიური და სივრცული მონაცემების გათვალისწინებაა საჭირო. საგნობრივი მიმართებების მოტივაცია, შესაბამისად, სემანტიკური ტრანსფორმაციის მიზეზები აიხსნება მხოლოდ ენობრივ კოლექტივთან კავშირში. კილოთა გავრცელების ბუნებრივი და ისტორიული პირობები, ყოფითი გარემო ის ექსტრალინგვისტური ფაქტორებია, რომლებიც ენის მომხმარებელთა ენობრივ ჩვეულებებს განსაზღვრავენ. სიტყვის შინაარსის გრადაციაც ამ ჩვეულებათა კვალდაკვალ ხდება.

სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეული კილოში ზოგჯერ სხვა მნიშვნელობას იძენს, იგი სემანტიკური დიალექტიზმი ხდება. ამ უკანასკნელის ანალიზი წარმოაჩენს ლექსემათა საერთო შინაარსობრივ პოტენციას და მისი განვითარების სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას. სემანტიკური ცვლილება სიტყვის „დიალექტური“ ტერმინოლოგიზაციის მიზნითაც გამოიყენება.

სიტყვის სრულყოფილი, ამომწურავი სემანტიკური დახასიათება გულისხმობს მისი მიმართების გარკვევას დიალექტურ ლექსიკასთან. ამგვარი კვლევა წარმოაჩენს სიტყვის შინაარსობრივ პოტენციას, მის განაწილებას ენის ქვესისტემებში და სემანტიკური ცვლილების როლს სიტყვის სტატუსის განსაზღვრაში, აგრეთვე, მოგვცემს წარმოდგენას ლექსიკურ ფონდთან სემანტიკურ ცვლილებებზე ექსტრალინგვისტური ფაქტების გავლენის შესახებ. ამ თვალსაზრისით განხილულია კონკრეტული ლექსემები.

მიხეილ ქამადაძე

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

სუფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები აჭარაში

აჭარაში 350-ზე მეტი დიდი და პატარა სოფელია, რომლებიც სხვადასხვა აფიქსითაა გაფორმებული. კერძოდ, მათი უმეტესობა ნაწარმოებია სუფიქსებით. შედარებით იშვიათად დასტურდება რთული გაფორმების, მარტივფუძიანი და პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები.

რეგიონის 350 სოფლის სახელიდან 170-ზე მეტი სუფიქსური გაფორმებისაა. თუ ამას დავუმატებთ გვარსახელებისაგან მომდინარე, სახელობრ, ბეგოშვილები, ბალაძეები, ქიძინიძეები... ანალოგიური გაფორმების სახელებს, მაშინ ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ სუფიქსებით გაფორმებული ოიკონიმები მეტწილად ანთროპონიმული წარმომავლობისაა. სემანტიკაც გამჭირვალეა, რადგან სახელწოდებაში ნათლად ჩანს ადგილის სახელის მიმცემი გვარი თუ სახელი. მაგ., ქიძინიძეები, იაკობაძეები, იაკობაური, გოგმაჩაური გელაური, კობალეთი, შუშანეთი... შდრ. გვარსახელები: ქიძინიძე, იაკობაძე, გოგმაჩაძე, გელაძე, კობალაძე, შუშანიძე...

ერთ-ერთი გავრცელებული მაწარმოებელია **-ებ-** ფორმანტი, რომელიც უპირატესად ანთროპოტოპონიმებს აწარმოებს და უფრო ნიშანდობლივია ზემო აჭარის ოიკონიმიისათვის.

-ურ- სუფიქსი თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარის ოიკონიმების მაწარმოებლად. **-ეთ-** სუფიქსი კი, რომელიც ასევე ანთროპოტოპონიმებს აწარმოებს მეტწილად, უფრო ნიშანდობლივია მაჭახლისა და ნიგალის ხეობების ოიკონიმიისათვის.

-ის- ფორმანტით ნაწარმოები ანთროპოტოპონიმები აჭარაში იშვიათად დასტურდება. ერთ-ერთი ასეთია **ვარჯანისი** (სოფელი, ქედის რ.). ამ სახელის ამოსავალია პერსონიმი **ვარჯან**.

საინტერესო სახელწოდებაა, აგრეთვე კაპრეშუმი (სოფელი, ხელ.რ.). ამ ონიმში **-უმ-** სუფიქსია, ამოსავალი კი უნდა იყოს **კაბრაშ**, რომელიც საბას მიხედვით, ყვითელ-მოწითალო ფერს ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ხალხური ლექსი, რომელშიც კაპრაშიძე ადამიანის საკუთარ სახელადაა მოხსენიებული: „...შენი ხეების ნაგლეჯი/სულ მცხეთელებსა ჩაქონდა,/კაპრაშიძე ტივზე შერჩა/როსტომ გული იმას ჰქონდა“ (ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, თბ., 1983. გვ. 168).

მარინე ქაცარავა

(ქუთაისი. ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იმერული დიალექტის შესწავლის ისტორიიდან

1. იმერული დიალექტის თავისებურებანი 70 წლის განმავლობაში არაერთხელ ყოფილა კვლევების ობიექტი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო მისი შესწავლა. 1937 წელს ვ. ფანჩვიძემ დისერტაცია დაიცვა თემაზე „ქართული ენის იმერული კილო“, შემდეგ სისტემატურად ქვეყნდება მეცნიერული ნაშრომები (ვ. თოფური, შ. ძიძიგური, ქ. ძოწენიძე, კ. კუბლაშვილი, ბ. ჯორბენაძე, პ. ჯაჭანიძე, პ. გაჩეჩილაძე, ივ. ქავთარაძე, პ. კიკაბიძე, რ. ბიხოვსკაია, გ. როგავა, ლ. ლეჟავა, ზ. ჭუმბურიძე და სხვ.). 1972 წელს ა. მარტიროსოვმა თავის წიგნში „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის“ ვრცლად ისაუბრა იმერულის შესწავლის შესახებ.

2. დიალექტი საზოგადოდ კვლევის ამოუწურავი წყაროა, ამის გამო შეუძლებელია მისი სრულყოფილი შესწავლა დამთავრებულად ჩაითვალოს. კვლევა კვლავ გრძელდებოდა და 1973 წელს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას შეემატა ქ. ძოწენიძის ფუნდამენტური გამოკვლევა „ზემოიმერული კილოკავი“, რომელშიც ზემოიმერულის მიკროანალიზია მოცემული. მან დაადგინა, რომ იმერული კილო აერთიანებს ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებს, ცალკე არ გამოყო შუაიმერული, რადგანაც ამ რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება ისეთი საერთო თავისუფალი მოვლენები, რომ შესაძლებელი იყოს ერთ კილოკავად გაერთიანება ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის საპირისპიროდ.

3. 1985 წელს კ. კუბლაშვილმა თავის მონოგრაფიაში „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“ მიმოიხილა ქვემოიმერულის გრამატიკული წყობა, ფონეტიკური სისტემის თავისებურებანი, სიტყვაწარმოება, მახვილი, ქვემოიმერულის მიმართება უშუალო კონტაქტში მყოფ დიალექტურ ერთეულებთან და დაასკვნა, რომ ქვემოიმერული ისეთივე დიალექტად უნდა ჩათვალიყო, როგორც სხვა რომელიმე დიალექტი, მაგალითად, გურული, რაჭული, ლეჩხუმური. მაგრამ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ეს აზრი დამკვიდრებული.

4. ბ. ჯორბენაძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული დიალექტოლოგია“ ვრცლად მიმოიხილავს იმერულ დიალექტს, ითვალისწინებს კ. კუბლაშვილის მოსაზრებებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ იმერულში გამოიყოფა ზემო და ქვემოიმერული და მათ შორის — გარდამავალი ზონა „შუაიმერულის“ სახით.

5. 2008 წელს დაიბეჭდა ნ. შარაშენიძის „საჩინოური ქართული“, რომელიც ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით წარმოგვიდგენს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ქვემოიმერულ კილოს. ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ ქვემოიმერული კილოა (მდრ.: „ქართულისა და მეგრულის შერევით წარმოქმნილია ქვემოიმერული კილოკავი, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება ზემოიმერულისაგან“ — ვ. თოფურია).

ჩვეულებრივ, ამ ბოლო ხანს სხვა დიალექტთა მსგავსად იმერულიც განიცდის სალიტერატურო ენის ზემოქმედებას. ამას ემატება უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების მოჭარბება. იშლება დიალექტური სხვაობები და ამ მოვლენას ფართო გასაქანი ეძლევა.

6. საინტერესო და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქმულია მ. მიქაუტაძის ს. კუბლაშვილის ნაშრომში „ცვლილებანი ზემოიმერულ კილოკავში საუკუნის მანძილზე“, რომელშიც გამოყოფილია და დასაბუთებულია ზემოიმერული კილოკავისათვის დამახასიათებელი ცვლილებანი (ქ. ძოწენიძის მასალასთან შეპირისპირებით). ასევე გამოქვეყნებულია იმერულის სანდო ტექსტები, მოსმენილია აქტუალური მოხსენებები. დღეს აუცილებელია იმერული დიალექტის შესახებ სრულყოფილი მონოგრაფიის შექმნა.

მიხეილ ქურდიანი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სვანური ენის დიალექტთა საკვალიფიკაციო ნიშნთა სისტემის საკმარისობის პრობლემა და ჩოლორული, როგორც სვანური ენის მეხუთე დიალექტი

დიალექტთა გასამიჯნავად თუ დასახასიათებლად აღებული ნიშნების შესახებ ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას: აქ გადამწყვეტია არა მათი რაოდენობა, არამედ მათი რელევანტურობა. რელევანტური ნიშნებით გამოჩნული დიალექტების საზღვრები სტაბილურია.

აკად. აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1925 წელს სვანური ენის დიალექტთა კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო რელევანტური ფონეტიკური მოვლენები: გრძელ და უმლაუტიან ხმოვანთა პოვნეირება და რედუქციის ხარისხი.

ამ ნიშნებზე დაყრდნობით სვანური ენის დიალექტის კვალიფიკაცია მიენიჭა ოთხ ენობრივ ერთეულს: ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლაშხურსა და ლენტეხურს, რაც შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით იქნეს წარმოდგენილი (ჭუმბურიძე 2007: 9).

დიალექტები	ხმოვანთა სიგრძე	უმლაუტი	რედუქცია
ბალსზემოური	+	+	+
ბალსქვემოური	—	+	+
ლაშხური	+	—	+
ლენტეხური	—	+	—



აკაკი შანიძიდან მოყოლებული ჩოლორული მეტყველება სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებული იყო როგორც „ნარევი“ და მას დიალექტის სტატუსი არ ენიჭებოდა.

ჩოლორული დიალექტად (*resp.* კილოდ) ხანდახან მაინც მოიხსენებოდა ხოლმე, მაგრამ მისთვის დიალექტის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მეცნიერული არგუმენტაცია პირველად, ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წამოყენებულ იქნა პროფ. ალექსანდრე ონიანისა და ამ სტრიქონების ავტორის მიერ. მათი მიდგომები და, შესაბამისად, არგუმენტები ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული იყო: ა. ონიანის მიდგომა იყო კომპლექსური და ის ფონეტიკასთან ერთად ლექსიკასაც ითვალისწინებდა; მე კი ოდენ ფონეტიკური მახასიათებლებს მივიჩნევდი თვითსაკმარისად.

აკაკი შანიძის მიერ სვანური ენის დიალექტების გამოსაყოფად მოხმობილი სამივე ფონეტიკური მოვლენა იყო რელევანტური, მაგრამ არასაკმარისი სისტემის სისრულისათვის. სწორედ ამან გამოიწვია ოთხი დიალექტის გამოყოფა და არა ხუთის. ჩემ მიერ საკვალიფიკაციო ნიშნად დამატებულია კიდევ ერთი ფონეტიკური მოვლენა (resp. პროცესი).


ეს ფონეტიკური პროცესი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა აქვს სვანური დიალექტების კვალიფიკაციისათვის, არის კონტაქტური დისიმილაციური გამჟღერება/გამკვეთრება ფშვინვიერი სპირანტისა და ფშვინვიერი ხშულის შემცველ კომპლექსებში, იმის გამო, რომ სპირანტი ჭარბად ხარჯავს ამოსუნთქულ ჰაერს და ართმევს ფშვინვიერობას ფშვინვიერ ხშულს (ლ. შჩერბა, ვ. აბაევი..). ეს უკანასკნელი გადადის მჟღერში ან (ასეთის პოზიციების შემთხვევაში) მკვეთრშიც (ვ. შენგელია, მ. ქურდიანი).

ჩოლორულს, ისევე როგორც ბალსზემოურს, ახასიათებს როგორც ხმოვანთა სიგრძე, ისევე უმლაუტიც. რაც შეეხება რედუქციას, ბალსზემოურთან შედარებით აქ ის უფრო ლაბილური ჩანს. მაგრამ მთავარი განმასხვავებელი მათ შორის არის ფშვინვიერი სპირანტისა და ფშვინვიერი ხშულისაგან შემდგარი კომპლექსების ქცევა — კონტაქტური დისიმილაციური გამჟღერება ბალსზემოურში და ორმაგი სტანდარტი ჩოლორულში: კონტაქტური დისიმილაციური გამკვეთრება გამჟღერება/გამკვეთრება (ეს თანაბრად ეხება როგორც დეცესიურ, ისე აქცესიურ კომპლექსებს):



შესაბამისად, სვანური ენის დიალექტების საკვალიფიკაციოდ ა. შანიძის მიერ გამოყოფილ 3 ფონეტიკურად რელევანტურ ნიშანს: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქციის ხარისხი უნდა დავმატოს ჩემ მიერ შედგენილი მეოთხე რელევანტური ნიშანი: ფშვინვიერი სპირანტისა და ფშვინვიერი ხშულის შემცველი კომპლექსის ხშული შემადგენელი დეზასპირირების ხასიათი (გამჟღერება, გამკვეთრება), რითაც სვანური ენის დიალექტების გამოყოფის ფონეტიკური პრინციპი მიაღწევს თავის ზღვრულ სისრულეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სვანური ენის დიალექტთა ზუსტი კლასიფიკაცია ფონეტიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სქემის სახით (შდრ. ქურდიანი 1997, ქურდიანი 1998):



და ბოლოს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ: ა) რელიგვანტურ მოვლენათა საფუძველზე სვანურ ენაში გამოიყოფა მხოლოდ ეს ხუთი დიალექტი (და არა მეტი ან ანკლები); ბ) სვანურ დიალექტთა შორის ჩოლორულის ადგილი საბოლოოდ და ცალსახად არის განსაზღვრული (შდრ. ონიანი 1998: 8).

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

**ჯი (ჯამ|ჯა||ჯემ|ჯე) ||მიჩ||მიჯნემ (მიჯინემ)
||ჯინემ||მიჩემ, მინ „თვითონ“ განსაზღვრებითი
ნაცვალსახელის ბრუნების თავისებურება სვანურში**

საინტერესო სურათს გვიჩვენებს სვანურში (ბქ.) ჯი. (ქს.) ჯამ. (ბზ.) ჯა, (ქს.) ჯემ|ჯე; (ბზ., ლშხ., ჩოლ.) მიჯნემ||მიჯინემ, (ჩოლ.) მიჯინემ||მიჯინემ||მიჯინემ, (ბქ.) ჯინემ||ჯინემ, (ლნტ.) მიჩემ; (სვ.) მიჩ „თვითონ“, (სვ.) მინ (მრ. რ.) „თვითონ ისინი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ახლებური წარმოება.

სვანურში, კერძოდ, ჩოლორულსა და ლაშხურ მეტყველებაში შეინიშნება განსახილველი ნაცვალსახელის სრულიად ახლებური წარმოება, თუმცა ტრადიციული ფორმებიც საკმაო სიხშირით გამოიყენება, მაგ:

	ჩოლ.	ლშხ.	
სახ. ჯემ			„თვითონ ის (ბიჭი)“
მოთხრ. ჯემ-დ ჯემ-ნემ ჯემ-ნემ-დ			„თვითონ მან (ბიჭმა)“
მიც. ჯემ-ს			„თვითონ მას (ბიჭს)“

აქვე უნდა აღინიშნოს ბალსზემოურის შემთხვევაც, აღნიშნული ნაცვალსახელი ჩოლორულისა და ლაშხურის მსგავსად ახლებურად აწარმოებს მოთხრობით ბრუნვას (სახ. ჯა, მოთხრ. ჯა-დ), თუმცა მიცემითში ტრადიციულად იბრუნვის.

ჩვენი აზრით, მოთხრობითისა და მიცემითის ასეთი წარმოება ახლებურია, ენა ამ შემთხვევაშიც ცდილობს გამარტივებისაკენ წავიდეს და თავი აარიდოს ორფუძიანობას (ვინაიდან მოთხრობითისა და მიცემითში სხვა ფუძე, კერძოდ, მიჯნემ-დ (მიჯინემ-დ), მიჩ

ჩაენაცვლებოდა) და სახელობითის ფუძე გამოიყენოს სხვა ბრუნვებშიც. მაგ.:

ჯემ || ჯამ ილგმალდა ი იშგენ იშტრალდა (ჩოლ.) — თვითონ სახლს აშენებდა და სხვები თამაშობდნენ

ჯემ ლეხგნროლ, ბატო, ძალო, მი იმ ხუტეგნროლროლ?! (ლშხ.) — თვითონ შეეხვეწებოდა, აბა, მე რას შეეხვეწებოდი?!

ჯემ-დ ლონმურჯე, ელო ლადი დემ ავანთუდახ (ჩოლ.) — თვითონ მიეხმარა, თორემ დღეს ვერ დაამთავრებდნენ”

შუტუარისა უმითრულნლად, ჯემდ ენუეხას ი გუიშგდას (ლშხ.) — ქუჩებში რომ თავჭარიანობს, თვითონ მოიცალოს და გვიკადროს“

ჯემ-ს ლოქ ერ ხაკფან, ეჩქა ქა ლოქ ლქქუნა (ჩოლ.) — თვითონ რომ სლომოდა, მაშინ იტყოდა

ჯემს დერ მანდ ხოხალ ლიქიე (ლშხ.) — თვითონ ხომ არ იცის მოჭრა...

როგორც მასალიდან ჩანს, მოთხრობით ბრუნვაში ახლებურად წარმოებულ ფორმასთან ერთად წარმოდგენილია მოთხრობითი ბრუნვის ფორმის ტრადიციული ვარიანტის ნაწილიც (...ნემ || ნემ-დ) ჯემ-ნემ || ჯემ-ნემ-დ.

ტრადიციული ბრუნება

სახ.	ჯი ჯა ჯემ	„თვითონ“
მოთხრ.	მიჯნემ მიჯინემ მიჯნემ-დ მიჩემ ჯინემ	
მიც.	მიჩ	

ამ შემთხვევაშიც აღნიშნული ნაცვალსახელი სამი ბრუნვაშია წარმოდგენილი და დანარჩენ დიალექტებშიც (მათ შორის ჩოლორულსა და ლაშხურშიც) სწორედ ამ სახითაა წარმოებული. მაგ.:

მიჯნემ || მიჯნემ-დ ლალ ლონმურჯალე, ელო ეჯი იშუა მგსყი ლას? (ჩოლ.) — თვითონ დაენმარა (მან გაუწია დანმარება), თორე ის რისი გამკეთებელი იყო?

ჟრუ ენმეჯრე ლიგნალ **მიჯნემდ** ი ეჯარბ ჟენგენროლ! (ლშხ.) — გაეო თვითონ ადგომა და ისინიც ადგებოდნენ!

ჯინემ || ჯინემდ ამჟი რსქუე (ბქ.) — თვითონ ასე თქვა; **მიჩ** ერ ლეგნროლ ხარან, ეჩქა ძაღურ დესა ლემარ მევედ (ლშხ.) — თვითონ (მას) რომ სახვეწარი ჰქონოდა, მაშინ სულ არ ყოფილა წამომსვლელი,

ქან **მიჩ** ოხგნდა ი სგან **მიჯნემდ** ედტხას (ჩოლ.) — თვითონ (მას) გამოუტანია და შეტანითაც თვითონ (მან) შეიტანოს...

ვაჟა შენგელია

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ნაცვალსახელთა კონტექსტური ფორმები მეგრულში

მეგრული ნაცვალსახელები შესიტყვებაში ხმარებისას ხშირად განსხვავებულ ფორმებს წარმოგვიდგენენ.

1. ცნობილია, რომ სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის პარალელურად კონტექსტში ნულოვანი ნიშანიც შეიძლება შეგვხვდეს (-ი და Ø ფაკულტატური ვარიანტები; ასეა ეს ნაცვალსახელებშიც (მაგ., სქან-ნი/სქან დიხა „შენი მიწა“; ენეფი/ენეფ რაგადანა „ესენი ლაპარაკობენ“, მითინი/მითინ ვამურს „არავინ არ მოდის“).

2. ათენა „ეს“ და ეთინა „ის“ ნაცვალსახელები შესიტყვებაში რედუცირებული სახით შეიძლება შეგვხვდეს: ათნა და ეთნა (მაგ., ათენა/ათნა მურს „ეს მოდის“, ეთინა/ეთნა გობარუნს „ის გაბერავს“), რაც სიტყვის ორმარცვლოვანობისკენ მისწრაფებით აიხსნება.

3. კითხვით ნაცვალსახელს ნამუ „რომელი“ შეიძლება ბოლოკიდური უ მოვევცოს (მაგ., ნამუ/ნამ რექ „რომელი ხარ“).

4. კითხვითი ნაცვალსახელი მი (< მინ) „ვინ“ ცალკე და კონტექსტშიც ჩვეულებრივ ნ-ს გარეშე გვხვდება (მხოლოდ მრავლობითში გვექნება ნ: მინეფი „ვინები“), მაგრამ რე „არის“ ზმნასთან ხმარებისას ნ-ს აღიდგენს: მინ რე? || მინიე? || მინე? „ვინ არის?“

რევაზ შეროზია

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ერთი ჭგუფის ზმნათა უღლებისათვის მეგრულში

1. მეგრულ მეტყველებაში გამოიყოფა ზმნები, რომლებიც ფორმით ვნებიან (ი-პრეფიქსიანები). ისინი უზმნისწინოდ ადგილზე გამოერებად ქმედებას გამოხატავენ (ი-ბეთქ-უ—/ი-ბათქ-უ ბათქუნობს), ზმნისწინით — ამავე სახის ქმედებით

სიარულს (მი-ბეთქ-უ მიბათქუნობს). ზმნისწინიანებს უღლების სრული პარადიგმა აქვთ (მიბეთქუ—მიდებეთქუ—მიდებეთქ(გ)...). უზმნისწინოები (ან გე-, გი და რომელიმე ლოკალური რთული ზმნისწინიანები) მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთებს აწარმოებენ ისევე, როგორც ბათქუნობს, მიბათქუნობს ტიპის ზმნები. ზმნისწინიანებისა და უზმნისწინოების შესაბამისი მასდარები -ინ სუფიქსითაა გაფორმებული (ბეთქ-ინ-ი).

2. -ალ სუფიქსით გართულებული და ა-ხმოვნისანი იგივე ძირები ე-ხმოვნისანთა მსგავსად ინიანი ვნებითის ყაიდაზე იუღვლიან, — სრული პარადიგმა აქვთ: მი/ი-ბათქალ-უ — მი-დებათქალუ (გ); მი/იჩარქ-ალ-უ (ე-ხმოვნისანი ი-ჩერქ-უ) ბორძიკობს — მიდე-ჩარქ-ალ (გ) ბორძიკით, ფეხარეული წავიდა...

უზმნისწინო (ან გე-, გი და რომელიმე ლოკალურ, რთულ ზმნისწინიან) და მი-ზმნისწინიან ფორმებს შორის შინაარსობრივად ისეთივე ურთიერთმიმართებაა, როგორც ი-ბეთქ-უ — მი-ბეთქ-უ წარმოებას შორის. განსხვავება უღვლილებისას ჩანს, -ალ სუფიქსიანებს, ზმნისწინიანია თუ არა, მყოფადი და დანარჩენი ნაკვეთები ერთნაირად ეწარმოებათ: (გი)ი — ძვაძვ-ალ-უ დაძუნძულებს, ძუნძულით საქმიანობს, მიდის — მიდე-ძვაძვ-ალ-(გ) წაძუნძულდა...

3. ზოგჯერ ხმოვანთა დაპირისპირება ძირში არ ჩანს, გვაქვს მხოლოდ ა-ხმოვნისანი ვარიანტი. ამასთან, არ დასტურდება მისი -ალ სუფიქსიანი ფორმაც:

გი/ი-ცაც-უ დააცეცებს, დაფუსფუსებს; მი-ცაც-უ (გილე-ცაც-უ) მიდის, დადის;

გი/ი-ჯარჯ-უ ზოზინებს, ფეხს ითრევს; მი-ჯარჯ-უ (გილე-ჯარჯ-უ) ზოზინით მიდის;

გი/ი-კვანწ-უ ქანაობს, დაქანაობს (მღრ.: იკვანწება კოხტად, მოხდენილად შლის, ამოძრავებს ხელებს (ცეკვის დროს),

ქეგლ); **მი-კვანწ-უ** (გილე-კვანწ-უ) რხევით, ქანაობით მიდის (დადის)...

აღნიშნული ზმნებიც მყოფადს ვერ აწარმოებენ.

4. დასახელებულ ზმნურ ფორმათა აგების პრინციპები და უღვლილება იდენტურია სალიტერატურო **იპარება-მიიპარება, იკლანკება-მიიკლანკება... ფორმებისა.**

ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე

(ბათუმი. ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტი)

ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულში და მათი კონოტაციური ანალიზი

სამხრული მეტყველება მდიდარია სინონიმური ფრაზეოლოგიური ერთეულებით. აქ შემონახულია ძველქართული, კლასიკური სიტყვათშეხამებანი. ზოგ მათგანში ქართული ლექსემა თურქულითაა შენაცვლებული; დაცულია საკუთრივ აჭარული იდიომათიკაც, მათ გვერდით გვხვდება თურქული კალკებიც.

სინონიმური ფრაზეოლოგიზმები ქმნიან სტრუქტურულ ვარიანტებსაც. მათ აქვთ ერთნაირი საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობა, მაგრამ სტილისტიკური ნიუანსებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სათქმელს განსხვავებულ ემოციურ ელფერს ანიჭებენ. უაზრო, უთავბოლო, მომაბეზრებელი საუბარი სამხრულ მეტყველებაში არაერთი ფრაზეოლოგიზმით გადმოიცემა: „წინ-უკან ლაპარაკობს“, „კა-ჭა-კუჭაი ლაპარაკობს“, „ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი“, „ხებერი არ იქ“, „ქემ გადმეიარა“, „გუდა გამოცალა“, „ლაპარაკში კატა დაამტრია“, „ლაპარაკში ჯიხრიკი დაამტრია“... თითოეული მათგანი შესაფერისია კონკრეტული სიტუაციისათვის, ისინი სათქმელს რამდენადმე განსხვავებულ ელფერს ანიჭებენ. მათ შორის ყველაზე ექსპრესიულია „ქემ გადმეიარა“ (ხანდაზმულობის გამო არეულად ლაპარაკობს)

და „ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი“ (შეუსაბამო, უაზრო საუბარი).

1. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი იდიომათიკა. სასაუბრო სტილში, ანდაზებში, აფორიზმებსა თუ წყევლის ფორმულებში არაერთი ასეთი ფრაზეოლოგიზმია. მათი უმრავლესობა დისფემიზმია. მაგ: ჩენგე მიეგრიხა, ჩენგე ჩიეკლიტა, სული გაშპა, სული დიეგლიჯა, სული გაძრა, სული მისცა, ლეხტზე თავი მიარტყა... ეგფემიზმი საერთოდ იშვიათია. მაგ: წეიხურა მიწის საბანი, შავი მურგვი მუგორდა.

2. გაბრაზება, განაწყენება გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმებით: ყურები ჩამოყარა, ცხვირი დუშვა, ფოლო დუშვა. ეს უკანასკნელი ვულგარულად გადმოგცემს სათქმელს.

3. განრისხება ასე გადმოიცემა: ხახაში ღველფი აქ ჩაყრილი, ხიშმი ჭამა, შალვარი აბრუნა, ჭიპზე გეირჩა. ყველა მათგანი სტილურად განსხვავებულია.

4. ძალდატანების, გამწარების გამომხატველი სტილური ფრაზეოლოგიზმებია: ბუხარში შააძრუმლა, ბუხრიდან კტარი აატანია, ლემსის ყურში გააძრუმლა, ჩენგე შიაქანებია, ზორი მისცა...

5. შერცხვენის, სირცხვილის ჭმევის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმებია: ბუქში ჩაპურტნება, ხახაში ჩაპურტნება, წვერის პირში ჩადება, ცოცხლად მეზერში ჩადება. ყველა მათგანი სტილისტიკურად მარკირებულია. წვერი პირში ჩეიდვა ნიშნავს სირცხვილნაჭამმა ხმა ველარ ამოილო.

6. სიზარმაცის გამომხატველ სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს ირონიული ელფერი აქვთ: ხანუმობა მუარა, თვალებს სირა-სირა ახილებს...

7. სემანტიკურად განსხვავებული და სტილისტიკურად მარკირებულია ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურული ვარიანტებიც. ბიბლიური დალოცვის თუ წყევლის არქაული ფორმულები ქმნიან დიალექტურ სახესხვაობებს. მაჭახლეღთა მეტყველებაში გვხვდება სტილურად მარკირებული ვარიანტები: ღმერთმა შენს კალოზე აწლილთინჭარილღვი დიგირგოს.

8. ფიცის ფორმულების ფრაზეოლოგიური ვარიანტები სტილურად მარკირებული არაა (შენი თვალები ისული მომართვი).

9. ფრაზეოლოგიური ვარიანტებიდან მაღალი ექსპრესიულობით გამოირჩევა კალკური ფრაზეოლოგიზმები ან ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც ქართული ლექსემა თურქულითაა შეცვლილი (იან-ლანჩი დუნია, იუზი მისცა, ხებერი არ აქ, სიხინთი აქ მოვლილი, ზახმეთი გამოვლილი აქ).

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ სამხრულ ფრაზეოლოგიზმებს დაბალი ექსპრესიულობა ახასიათებს. მათ ფამილარული მნიშვნელობა აქვს, რაც სასაუბრო-საყოფაცხოვრებო სტილის სპეციფიკაა.

ერთნაირი აზრობრივი მნიშვნელობის თუ განსხვავებული სემანტიკის, სტილისტიკურად მარკირებული ფრაზეოლოგიზმები სტრუქტურული ვარიანტებით ამდიდრებს სამხრულ მეტსვლელას, კიდევ უფრო ექსპრესიულს ხდის მას.

ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

„ვეფხისტყაოსნის“ ენის მიმართებისათვის ჰერულ დიალექტთან (განმეორებული ზმნისწინები პოემაში)

პოემაში დასტურდება ასეთი ზმნური ფორმები:

1. ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა **ასწოების**, ა, ცამდის (949;953/952).

2. სვეს და ჭამეს, დასაწოლად ყმა **გავიდა** გარეთ, გარ, გა- (1078; 1079).

3. „ვერ ვასმინე საუბარი, მით **დავეოვნე** ხანი მუნ, და- (89; 91/90); დავარ თქვა: „მქმნელი ამისა ვინ არ **დაქელოს**, ვინ არ, და-“ (580; 585/582); „არ ამოვკრეფდი გამყოფთა, ვთქვი: „ჩემთა რად **დავრიდო**, და-?“ (602; 606/603) და სხვ.

4. „ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე **მისრულვარ** სადა, მი- სად!..“ (247; 251/250); „ჩემი თქვი, რა ვქნა ხელქმნილმან, მზე **მიმეფაროს**, მი-, ცისა?..“ (703; 708/706); „თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე

ვირითა, დააგდე ჩემი მიდამო, სრულად **მიკრიფე**, მი-, რითა“ (1104; 1108).

5. იტყოდა: „**მომკლავს** უცილოდ ტანი ალვისა, მი-, ხისა!“ (1256; 1260); ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი **მომხვდეს**, მი- რანი“ (1264; 1268); „მას ადრე ვპოვებთ, ვისიცა, **მოგვკლავს** ალვისა, მი-, ტანი“ (1381; 1386/1387).

6. „დიაცა წყენა შეატყვა, ნახა **შესლვითა**, შე-, ვითა“ (1094; 1098); ქალსა შესწბა, გაუფიცხა **შე-** და **გამო-** გულმან კრთომა (1539; 1543/1544).

7. „ვითა მონა სამსახურად განაღამცა **წავე**, წა- მე!“ (134;135/134); „თვალთა წინა **წავგივიდა**, ლალი, კუმტი, ამაყი. წა-!“ (206; 210/209); ავთანდილსცა ცრემლი **წასდის** წამწამთაგან ერთსახე, წა- (656; 652/659) და სხვა.

დიდმა მეცნიერმა და რუსთველოლოგმა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ მისი ხელმძღვანელობით შედგენილ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ ეს ზმნისწინები ცალ-ცალკე შეიტანა და ისინი ასე განმარტა: „**გა** [წინამავალი ზმნის განმეორებული ზმნისწინი]“ „**და** ზმნისწინი, განმეორებით ნახმარი ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად“ (1). ახსნილია ზემოთ დამოწმებული ყველა ზმნისწინი.

ცხადია, რომ ეს არის პოეტური ხერხი, რაც, აღნიშნულის გარდა, ხელს უწყობს რითმის მოწესრიგებას და ტაქტში მარცვალთა რაოდენობის დაცვასაც. ეს არ არის პოეტის მიერ ახალ სალიტერატურო ქართულში შემოტანილი ინოვაცია, ეს არის ხალხური მეტყველების სამწერლო ენაში დამკვიდრების ერთ-ერთი ფაქტი. ყველა ზმნისწინი ქართულ ენაში უხსოვარ დროს გაჩნდა და იგი ზმნას წინ მიერთვოდა. „**წინდებულ-**ი 1. თანდებული, რომელიც წინ დაერთვის *სახელს* (დაყოფა ჩემია, ა. ჭ.). 2. ზმნისწინი, პრევერბი“ (ქეგლ). ყოველი მათგანი პირველად, ალბათ, რომელიღაც ზმნის ფუძემ მოითხოვა, რომლის ამოცნობაც ზოგჯერ ჭირს, მაგალითად, **მი-** წინსართია, მაგრამ იგი ძველ ქართულ ტექსტებში ერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას: „თუალნი მონათანი *კელთამი* (კელთა მიმართ გ) უფალთა მათთასა“ (ფს. 122, 2); „რომელი ღაღადგყავ *შენდამი*“ (ა ფს. 6,7). ამ ზმნისწინთა ხმარება ძველ ქართულშიც იშვიათი არ უნდა ყოფილიყო: **მო-** (მოგულა:) მოსვლა: „**მო** და მოვიდეთ“ (ლუკა

2, 15); **შე**- „მპარაენი **შე** და გამოკრბებთან“ (მ. სწ. 148, 26) (2). (ავტოგრაფში უნდა გვქონოდა: „**შე** და გამო კრბებთან“). მისი იშვიათად ხმარება წერილობით ძეგლებში იმის ბრალია, რომ ამ წინდებულთა ნაზავმა ადრევე იცვალა სახე: „შე+და → შდა → შთა → ჩა“ (3. § 310, 314).

რუსთველი „მი“ და „მო“ წინდებულებს ზმნის წინ, მაგრამ მასთან შეურწყმელად იყენებს და ამით ზმნის ორ მნიშვნელობას გადმოსცემს: ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე **მი და მო** ძრწებოდა (229; 233/232); „გული **მი და მო** მიარდა, კრთებოდა და მემალვოდა (378; 383/380); „ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული **მი და მო** კრთებოდა“ (511; 515/512); ვეღარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა **მი და მო** მღეწელი (1039; 1043); უთხრა: არ გიშლი, დიაცო, ფერთა **მი და მო** კრთოლასა“ (1096; 1100); „უმისყამისოდ ცუდია ჩემგან **მი და მო** რბენანი“ (1469; 1474/1475); ლაშქარნი რბოდეს **მი და მო** (1503; 1507/1508).

მარტივი პრევერბი თუ ზმნის ბოლომოკვეცილი ზმნები „ვეფხისტასაოსანში“ საკმაოდ ბევრია:

„რათგან მერჩიო, ნუ მერცხვი, **გაე**, რასალა გრცხვენთან“ (1526; 1530/1531);

მან უთხრა: „**გაე** ნუ უბნობ, შეცვე ბროლისა ყორები“ (1559; 1562/1564);

„**მო**, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“ (955; 959/958);

„**მო**, მთვარეო, შემბრალე, ვილვეი და შენებრ ვმჭლდები“ (960; 964/963);

„მოდი, მომყევ აქა სადმე, **მო**, გიჩვენებ მზისა ფერსა“ (1150; 1154); და სხვ.

„**წა**, მაგრა მომხვდეს რალა ვქნა, თუ სიშორისა გრძელობა!“ (144; 145/144);

„**წა**, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“ (377; 382/379);

„უბრძანა, ქაჯეთს გაგზავნი, **წა**, გზანი გისხენ შორანი!“ (1264; 1268).

„ვეფხისტასაოსანში“ ყურადღებას იქცევს ასეთი ბოლომოკვეცილი ფორმები:

„**გაგე**, ვიცან, მოვეხვიე...“ (1195; 1199);

„აწ ვაშად **მოხვე**, მეამა ნახვა შენისა პირისა“ (293; 298/296);
მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა“ (527; 526/523);

უბრძანა: „რა გჭირს, რა იცი, რად **მოხვე** შეჭირვებული?“ (751; 755/756);

„მოსრულიყო, მოსლვა ეთქვა, შენცა **მოხვე**, შემეშინა“ (1203; 1207);

„რა სულად **მოვე**, შემესმა ხმა ტირილისა და ვისა“ (346; 351, 348);

„შინა **მოვე**, მოკლვა მისი დავაპირე, არ დავემუნდი“ (554; 559/556);

„არ **მივეო** ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე“ (268; 272/272);

„შევე, **დავჯე** ტახტსა ზედა, ქალი მოდვა ნოხთა პირსა“ (371; 376/373);

„შინა სწორნი წავიტანენ, ჩემსა **დავჯე**, მთქვიან ალვად“ (367; 372/369);

„შევე, **დავჯე** ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს“ (384; 389/386) და სხვ.

„**დაჯე** წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა“ (999; 963/962);

ტარიელ უთხრა: „შენ **დაჯე**, სწადიან ბრჭეთა ბრჭეთასა“ (1537; 1541/1542);

„**შევეჯე**, წამოვე, ნაკადი მდიოდა ცრემლთა მილისა“ (397; 402/399);

„**შევეჯე**, **წავე**, ბაღჩას **მივე**, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!“ (516; 521/518);

„ისმინე ჩემი თხრობილი, **შეჯე**, წავიდეთ ნებასა“ (877; 881/880);

„ერთხელ **შეჯე**, ცხენოსანი განახო ჩემი სულთა მხლელი“ (887; 891/890);

ეხვეწებოდა: „**შეჯეო**“, აჯას ხვეწნითა არვებდა“ (888; 892/891) და სხვ.

„მუნით წასრული ჩამოვხე, ტევრისა რასმე კიდესა“ (428; 433/4300);

„ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“ (1026; 1030);

„წავე, მონა წავიტანე, რამცა უთხარ ამისთანა!“ (390; 395/392);

„შელამდა, წავე, ბალისა მე კარი შევიარეო“ (405; 410/407);

„რაზმი დავაწყევ, მივპმართე, წავე დიდითა სწრაფითა“ (439; 444/441);

„წამოვე, დევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მღევარი“ (557; 562/558);

ეტყვის: „რა წახვე, გაიჭრა, ქვაბს ყოფა მისჭირდა ვითა“ (841; 845/844);

წაჰხე (← წაჰხედ): „სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგე სვეტნი?“ (819; 823/821).

მოძრაობის (მიმართულებების) აღმნიშვნელ ზმენტში ასეთი გამარტივებული ფორმები პირველად „ვეფხისტყაოსანში“ ჩნდება და, რა თქმა უნდა, მათი წყარო ხალხური მეტყველებაა. დავიმოწმებ ხევსურული დიალექტის მონაცემებს, რომელიც, სხვათა შორის, ყველა სხვა ქართულ დიალექტთან შედარებით, თვალში საცემ სიახლოვეს ამჟღავნებს პერულ-ინგილოურთან (ამაზე — ცალკე):

„აეს აღმა სიარულისას (შდრ. საბა: აის, პ. ხუბ.: აისე-დ ჩაის“ (4);

„გა!-გა! (← გადი-გადი): მითხოს აღდისქე გადიდდა, კართ ჰკაზმებს, ეტყვის „გა!-გა!“-სა (შდრ. გაისი, გაისად) (5. 19, 8);

„ამაეს ამოვლისას, ქვემოთ აქეთკენ სიარულისას, ამოსვლისას. [მჭედარს] ამაეს ამავეიტაცებ, როგორც ფათოლას ქარიო (5. 18, 21); გაბუურთ მზირი აუდგა დილა, ამაეს მზისასა“ (6. 40, 104);

„მი-ზ-დ-მა-ზ-დით: მიდინარ-მოდინართ, დადინართ. არ გაქვისთ გამასაცვლედი, მიზ-მაზდით, როგორც ჩაფარი“ (7);

„მიეს იქითკე სვლისას. მიეს მიდიან მთელები“ (იქვე);

„მიგ-მაგ/მიე-მეეს“ (იქვე);

„მიგ/მიგ[ას]/მივალი-ს მიდის. თილისქეთ გორგი ველთ მივა, გაყვით ამაგის კვალსაო“ (იქვე);

„მივია-მოვია ცვალებადია. ჟამი მივია-მოვია მტყუს თორღვის კარზედა“ (იქვე);

„მოეს აქეთკენ სვლისას. მიეს მიდიან მთელები, მოესა — დახეულები“ (იქვე);

„შაეს, გამაეს: გამოსვლისას ან წყლის დინების მიმართულებით სიარულისას. ქვე-ვითაიმაგ შაეს გაატანიავ ლახტსაო' ქვე-ვითაიმაგ გამაესავ“ (იქვე). შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: შეის სასობს, გაის ქუ-შობს, ენა ასრე მოაყიენებს (759; 763/761);

„შამაე[ს] ა) შემოსვლის დროს. წელწად შამაეს წუხრასა ლექსი უნდა ვთქვა ახალი (7); ბ) წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით სიარულისას, აქეთობისა. [ტყვეებს] შამოეს შამავავლიათ დიდმის მინდორი გძელია“ (იქვე);

„ჩაე ჩადი. ბაკურტვეს ჩაე სოფლადა, სტუმარო თავის დისაო“ (იქვე);

„ჩაეს ჩავლისას“ (იქვე);

„ჩამაეს ზემოდან ქვემოთ სვლისას. დაგლაკავ, საზვინაო, დილა, ჩამაეს მზისასა“ (იქვე). (იგულისხმება, რომ ხეობაში ჩრდილის მხარეს მცხოვრებთათვის მოპირდაპირე მთის ფერდობზე დილის მზის შუქი ქვემოთ მოდის);

„წაე/წაე წადი. წაე, თორე დაგიდამდების“ (იქვე);

„წამაე[დი] წამოდი. წამაე, სანადიროდ წავიდათ“ (იქვე).

ასეთი ფორმები მეტ-ნაკლები სიხშირით ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაც არ არის უცხო და მხატვრულ ლიტერატურაშიაც დასტურდება. მათი ხალხურობიდან მომდინარეობას ადასტურებს ამ ფორმის პერსონაჟთა მეტყველებაში პოვნიერება. ზოგ ასეთ მასალას დავიმოწმებ ალ. ყაზბეგის ორტომეულიდან (8).

— ხვალე გამოხვალ?

— გა... (I, 217);

— გამოიარე, გა! (II, 369);

— ნუა-ლა, ნუ!.. ნუ ეცდები, თორე განანებ, გა. აგრემც შეგეწევა ზედანიში! (II, 376);

— გაცოცხლდებოდა, გა... ღვთის მადლმა (I, 111);

— მარტო მე გადავალ ხმალდახმალ, გა, შენი რისხვა არა მაქვს (I, 64);

— დავარისხოთ, და! (II, 499);

— მაი (← მალი, მოლი) მაი, ვახშმად აქ დარჩი (II, 370);

- ვოყებო! **მაი**, მეთაურნი აბდიასთან ავიდეთ (I, 166);
- **მაი**, მაგას თავი დაანებე (I, 173);
- **მაი**, ელგუჯაუ, სნოს წყალზე მე წავალ (I, 187);
- მაშ მოდინარ?
- **მო...** (I, 57);
- **მარი** (← მამრიდე, მომერიდე): — **მარი! მარი**-მეთქი! განუშე-
ორა ნუნუმ (I, 240);
- შევუდგეთ, **შე**. შენი კვენსამე! (II, 502);
- ჩავიდეს მეფესთან, **ჩა!** (I, 84);
- წავედით, ჩემო ყველავე, **წა!** (II, 383).

ქართულ დიალექტოლოგიაში ყველაზე მეტი შეუძმოკლებელი თუ შემოკლებული გამოვლენები ფორმები ჰერულ-ინგილოურ დიალექტში დასტურდება. ძირითადად მეორდება **გავიდა, წავიდა** ზმნებში (აბაშვილი *გასილ*, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბ., 2009 წ.).

- მელამ დააგდა ტუმარამ, გარდინორწა, **წავ** (9. 339);
- [გერმანია] როსტოვით **გავდა, წავდა** (10. 305);
- დადჭირეს ისიც... დადკარგა, ამმაგ **გავ, წავდა** (იქვე, 241);
- ჩონ დოგყარა, ულაყ გალალა, **გავ, წავდა** (იქვე, 246);
- ადგა, **გავ, წავდა** კაც (იქვე, 254);
- დანარჩენევ აფეყდნენ, **გა, წავნენ** (იქვე, 268);
- ჰელ-ფეყ შებორკილ გააცილეს, **გა, წავდა** (იქვე, 292);
- ცხენ გაფრინდა, **გავ, წაჟდა** (იქვე, 131);
- ყმაწულ ჟანვარმა გასტაცა, ძალლა! **გავ, წავდა!** (იქვე, 144);
- ადქითი აისრებიან, **გავ, წავლენ** ისენ (იქვე, 146);
- ადქად გასულან, **გად, წასულან** (იქვე, 160);
- ამ გუდას აიკიდევს... **გა, მივ** (იქვე, 226);
- გოლ ჩამოდის, იქამ მიიხორწობ, **გაა, მივ** (იქვე, 141);
- ე ქალევ იზდევან, **გად**, გაათხუველ ღროფ კეჭტემ (იქვე, 196);
- წად**, მოსლაში გეტყუ (იქვე, 168);
- წად, მოდ**, კედე (= მაშინ) გეტყუ (იქვე, 168);
- წად**, და მარწყიც მაიდ (იქვე, 176).

მშობლიურ ჰერულ კილოში დამკვიდრებული ეს ენობრივი მოვლენა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა წარმატებით გამოიყენა პოეტურ ხელოვნებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია შედგენილი ა. *შანიძის* ხელმძღვანელობით, თბილისი, 1956 წ.

აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973 წ.

შანიძე აკაკი, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953 წ.

ხუბუტია პავლე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 1969 წ.

ოჩიაური ალექსი, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბილისი, 1970 წ.

შანიძე აკაკი, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931 წ.

ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005 წ.

ყაზბეგი ალექსანდრე, თხზულებანი ორ ტომად, თბილისი, 1962 წ.

თოფურია ვარლამი, *ვიგინეიშვილი ივანე*, *ქავთარაძე ივანე*, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961 წ.